ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 22 ნოემბერი, 2023 №230 (9266) ფასი: 80 თეთრი

მოზარდი, რომელსაც ორთაჭალაში სატვირთო დაეჯახა, გარდაიცვალა

გვ.3

„სააკაშვილის შეწყალება ზურაბიშვილის შეცდომა იქნება“

„სააკაშვილი ციხეში მეტ პოლიტიკურ წონას შეიძენს, როგორც კი გამოვა, მაშინვე განულდება“

გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი იკადრა პრეზიდენტის წინააღმდეგ. დააბრალა კონსტიტუციის დარღვევა, როცა კონსტიტუციას იცავდა! იმპიჩმენტი მოუწყვეს! გამორიცხულია, რომ იმპიჩმენტის პროცედურა ივანიშვილის ნებართვის გარეშე დაწყებულიყო“

რა მოჰყვება მანიფესტის ხელმოწერას ნაციონალურ მოძრაობაში?

გვ.4

„ოცნება“ 5%-იან ბარიერს მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაწევს“



გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიციის ლიდერი გაუსვრელი, ძველი ცოდვების გარეშე პიროვნება უნდა იყოს“

როგორ მოიქცევა საქართველო პუტინის უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ?

გვ.4

ამბები აფხაზეთის ომიდან

სოხუმის დაცემის დეტალები

რატომ არ დაემორჩილა ჯაბა შევარდნაძეს

გვ.5

გვ.3

ზურაბ ნოღაიდელმა კარტოგრაფების წინააღმდეგ ჩვენება ვერ მისცა

2 პაატა მანჯგალაძე: „არ გამოვრიცხავ, ზურაბიშვილი რომელიმე ოპოზიციური პარტიის სიაში ვიხილოთ“

4 უბილეთო მგზავრობისთვის გამოწერილი ჯარიმების მოცულობა 1,4 მლნ ლარით გაიზარდა

3 მშობიარობა და საკეისრო კვეთა სრულად ფინანსდება

6 გერმანიის თავდაცვის მინისტრი კიევში ჩავიდა

1993230720223

„სააკაშვილის შეწყალება ზურაბიშვილის შეცდომა იქნება“

პაატა ზაქარეიშვილი: „სააკაშვილი ციხეში მეტ პოლიტიკურ წონას შეიძენს, როგორც კი გამოვა, მაშინვე განულდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.



– ბატონო პაატა, მართალია, გვაძლევენ კანდიდატის სტატუსს, მაგრამ გვახსენებენ დათქმებს და პირობებს. ევროკავშირის ელჩი აცხადებს, რომ სამართლიან და დამოუკიდებელ არჩევნებს ველოდებით საქართველოშიო. ასევე, ფიქრობენ, რომ 5%-იანი ბარიერიც მაღალია. რა მოლოდინი გაქვთ „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში?

– ყველაფერი ეს უნდა შესრულდეს არჩევნებამდე. მთელი წელი გვაქვს წინ. დეკემბრამდე არ არის სავალდებულო ამის შესრულება. ნორმალური ბარიერი, ეს პირობითი ცნებაა. თავისთავად 5%-იან ბარიერში ტრაგედია არაა, სხვაგანაც არის ასე. რადგან ევროპა ხედავს, რომ დაქსაქსულია საქართველოს მოსახლეობა, ამიტომ მიაჩნიათ, რომ 5% არის ძალიან მაღალი. თუმცა, ისინი ვერ უკარნახებენ საქართველოს, რამდენი პროცენტი უნდა იყოს. შიდა კონსესუსის შედეგად უნდა მოხდეს ბარიერის დაწევა. ყველაზე სწორი გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან იქნება ის, რომ პარტიები გამსხვილდნენ და ახალ ეტაპზე გადავიდნენ თავიანთი საქმიანობის.

– თავისუფალ და დამოუკიდებელ არჩევნებზე რას იტყვით?

– ეს უკვე მნიშვნელოვანი ღირებულებაა ევროპელებისათვის. დარწმუნებული ვარ, დიდი ევროპული დესანტი გადმოვა საქართველოში, დააკვირდებიან საარჩევნო პერიოდს. მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ საქართველოს იღებენ ევროკავშირში. არჩევნების შემდეგ აუცილებლად დადება საკითხი, გვიხსნიან თუ არა მოლაპარაკებების პროცესს. კანდიდატის სტატუსის შემდეგ მეორე ეტაპი უნდა დაიწყოს. ამიტომ მიკროსკოპში დააკვირდებიან, თუ როგორ ჩატარდება არჩევნები. სწორედ ეს იქნება გადამწყვეტი, დაიწყებენ თუ არა ჩვენთან მოლაპარაკებების რაუნდს. ძალიან მნიშნელოვანი ეტაპი დაიწყო „ქართული ოცნებისათვის“. როგორ ჩაატარებენ არჩევნებს, სწორედ აქ გამოჩნდება, უნდა თუ არა მას ევროკავშირი. მე მაინც ჩემს პოზიციაზე დავრჩები, დარწმუნებული ვარ, რომ არ უნდოდა. ევროკავშირმა კი „ქართული ოცნების“ ნების საწინააღმდეგოდ მიიღო ეს ისტორიული გადაწყვეტილება.

– ბატონო პაატა, საუბრის დასაწყისში ოპოზიციის გამსხვილება ახსენეთ. სოციოლოგიური კვლევების მიხედვით, ოპოზიცია ცუდ დღეშია. დაიწყებს ოპოზიცია გამსხვილებაზე ფიქრს?

– აუცილებლად უნდა დაიწყონ. სულ რომ არ გააყალბოს „ოცნებამ“ არჩევნები. გამსხვილების გარეშე ოპოზიცია ბარიერს მაინც ვერ გადალახავს. რამდენიმე ოპოზიციური ცენტრი უნდა შეიქმნას. ამომრჩევლის 60% არ არის ჩამოყალიბებული და არ იცის, ვის მისცეს ხმა არჩევნებში. ეს არის უდიდესი რესურსი ოპოზიციისთვის. ოპოზიციამ უნდა მოახერხოს ამ ხალხის არჩევნებზე მიყვანა. 5%-თან მხოლოდ ორი პარტიაა ახლოს, ეს არის „ლელო“ და გახარიას პარტია.

– „ლელოს“ ლიდერები აცხადებენ, რომ გამორიცხულია მათი და გახარიას ერთობა.

– ეს ძალიან სამწუხარო ფაქტია. ისინი ერთმანეთის ხმებზე სხედან. გაერთიანების შემთხვევაში, მეტი შანსი ჰქონდათ. ასევე ნიკა მელიას ექნება შანსი, თუ მიიღებს გადაწყვეტილებას და დროულად წამოვა. უკვე დროა ამის.

– ბოლო დღეებია, ყურადღების ცენტრშია ნაციონალური მოძრაობა. ყველა ხვალინდელ დღეს, 23 ნოემბერს ელოდება, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ. წამოვა ნიკა მელია? გამოუშვებენ, თუ დაეთანხმება იმ პირობებს, რასაც პარტია წაუყენებს? ვისმენთ შეფასებებს, რომ პარტიაში მთლიანად კეზერაშვილი მართავს სიტუაციას, სააკაშვილიც კი დააშანტაჟაო. რას იტყვით თქვენ?

– კეზერაშვილი მართავს ფულით. კეზერაშვილი პოლიტიკით ვერ მართავს, ის ვერ გამოდის და ვერ ლაპარაკობს. საკმარისია, სააკაშვილმა თქვას, საერთოდ ვინაა კეზერაშვილი და მისი ადგილი არაა ნაცმოძრაობაში, კეზერაშვილი მაშინვე ჩამოიშლება მთლიანად, თავის ფულიანად. კეზერაშვილის შანტაჟი მაინც არის პირობითი და ზედაპირული. ამ ორი ადამიანის საჯარო შერკინებისას, სააკაშვილი გაიმარჯვებს. ფული ყველაფერს არ წყვეტს. შეიძლება ბევრ რამეს წყვეტს, მაგრამ არა ყველაფერს.

– ანუ კეზერაშვილს არ გამოუვა სააკაშვილის დაშანტაჟება?

– არ გამოუვა. სწორედ ამიტომაა, რომ ამას კულუარებში აკეთებს და არა საჯაროდ. არც კეზერაშვილს და არც მერაბიშვილს არა აქვს ის ავტორიტეტი, რაც აქვს სააკაშვილს. ეს კარგი სულაც არაა, მაგრამ ეს რეალობაა. მე მიმაჩნია, რომ სააკაშვილის პოლიტიკური აქტიურობა მხოლოდ ვნებს საქართველოს.

– ბატონო პაატა, მას შემდეგ, რაც პატიმრობაშია მიხეილ სააკაშვილი, მან პირველად მიმართა პრეზიდენტ ზურაბიშვილს. სალომე ზურაბიშვილმა ერთხელ თქვა უკვე, არასდროს და არასოდესო. რამდენად გადახედავს ის საკუთარ პოზიციას? ბევრი ფიქრობს, რომ შესაძლოა ხვალ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილი შეინწყალოს. თქვენ თუ უშვებთ ამას?

– გამორიცხული არაფერია, მაგრამ მე არ ვუშვებ. ვფიქრობ, არ შეიწყალებს. ახლა სალომე ზურაბიშვილს გამყარებული აქვს პოზიცია. ის ევროპულ ინტეგრაციას ხელს უწყობს, მისი როლიც მნიშვნელოვანია. მე არ მგონია, რომ სალომე ზურაბიშვილი ამ პოზიციებს გაიფუჭებს, სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის მიმართ ძალიან უარყოფითი დამოკიდებულებაა საქართველოში. მათ ჰყავთ თავისი ამომრჩეველი, მაგრამ ეს ტრიალებს დაახლოებით 15%-ში. დანარჩენი ნეიტრალური კი არ არის ნაციონალური მოძრაობის მიმართ, არამედ სძულს ეს პარტია. ამიტომ თუ სალომემ ეს ნაბიჯი გადადგა, ის უფრო მეტად დაიმსახურებს სიძულვილს ქართულ საზოგადოებაში, ვიდრე სიმპათიას, თუნდაც ევროკავშირში გაწევრიანების მიმართულებით. აქ წმინდა წყლის პრაგმატული გათვლებია.

– სალომე ზურაბიშვილმა საფრანგეთიდან ოლიგარქად მოიხსენია ბიძინა ივანიშვილი. რატომ მაინცდამაინც ახლა?

– სალომე ზურაბიშვილს აღარანაირი ბმა აღარ აქვს „ქართულ ოცნებასთან. ეს ძაფები თავად „ოცნებამ“ ჩაწყვიტა. ამიტომ სალომე ზურაბიშვილის სურვილია, რომ ის იყოს თავისუფალი გადაწყვეტილებებში და მაქსიმალურად სუფთა. არ უნდა, რომ დატოვოს საეჭვო კითხვები. ეს არ არის საწყენი და გასაბრაზებელი. ივანიშვილი ოლიგარქია, მას აქვს დიდი ფული და თანაც ქვეყანას მართავს. ამაში გაუგებრობა არაა.

– ადრე ყოველთვის თავს არიდებდა ამ კითხვაზე პასუხს ქალბატონი პრეზიდენტი. ახლა უპასუხა. რატომ?

– „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი იკადრა მის წინააღმდეგ და იმიტომ. დააბრალა კონსტიტუციის დარღვევა, როცა კონსტიტუციას იცავდა! ადგნენ და იმპიჩმენტი მოუწყვეს! გამორიცხულია, რომ იმპიჩმენტის პროცედურა დაწყებულიყო ივანიშვილის ნებართვის გარეშე.

– სამაგიერო გადაუხადა ამით ივანიშვილს?

– ეს იყო პასუხი იმპიჩმენტზე!

– ანუ თუ პრაგმატულად იფიქრებს სალომე ზურაბიშვილი, ის სააკაშვილს არ შეიწყალებს?

– პრაგმატულად თუ იფიქრებს, არ შეიწყალებს. რადგან არ სჭირდება ეს. სააკაშვილს რაც შეეხება, ის საერთოდ არ უნდა იყოს ციხეში. იმიტომ, რომ არცერთი საქმე, რაზეც ასამართლებენ, არ მოითხოვს პატიმრობას. ეს არის წმინდა წყლის შურისძიება. თუმცა, რაკი ციხეშია, უნდა შეიფეროს ეს, თუნდაც უსამართლოდ იჯდეს. ნუ ტირის და ნუ გვაცოდებს თავს. იქედან მეტის გაკეთება შეუძლია თავისი პარტიისთვის. მისი შეწყალებით, შესაძლოა, ქვეყანაში სიტუაცია აირიოს. სალომე ზურაბიშვილი დიდ როლს ასრულებს ევროინტეგრაციის გზაზე. თუ შეინწყალა მიშა, მისი დისკრედიტაცია მოხდება. ამით ევროპულ გზასაც დააზიანებს, იტყვიან რომ მათგან მიიღო დირექტივა, მიშას შეწყალების. ამდენ ხანს რატომ არ უთხოვია შეწყალება?! მაინცდამაინც ახლა რატომ თხოვს?! ევროპული მატარებელი დღეს კარგად მიდის წინ.

– და ხელის შეშლა უნდა სააკაშვილს?

– არ გამოვრიცხავ. მისგან ყველაფერს ველი. ღონე დამიბრუნდა, ჯანმრთელი და ენერგიული ვარო. აქამდე კვდებოდა და ახლა კარგადაა?! რაღა მაინცდამაინც ახლა?! სააკაშვილი ციხეში მეტ პოლიტიკურ წონას შეიძენს, როგორც კი გამოვა, მაშინვე განულდება. ის დამატებითი, ბონუსმხარდაჭერა, რომელიც ჩემნაირი ხალხის მხრიდან აქვს, რომ ის უსამართლოდ ზის ციხეში, ეს იმ წუთშივე დაიკარგება. შერჩება მხოლოდ გაძვალტყავებული ნაციონალური მოძრაობა და სხვა არავინ. წესით, უნდა აწყობდეს, რომ არჩევნებამდე ციხეში იყოს. ასე მეტს გაუკეთებს თავის პარტიას. ის არაა საქართველოს მოქალაქე, სიას ვერ ჩაუდგება სათავეში, ვერც პოლიტიკოსი და პარლამენტის წევრი გახდება. პარტიასაც დააკარგვინებს გარკვეულ პროცენტებს. შეინწყალებენ და რა მერე? გახდება რიგითი ხელმოცარული პოლიტიკოსი.

პაატა მანჯგალაძე: „არ გამოვრიცხავ, ზურაბიშვილი რომელიმე ოპოზიციური პარტიის სიაში ვიხილოთ“

– მოლოდინი მაქვს, რომ სალომე ზურაბიშვილს პოლიტიკის ინტერესი აქვს. ეს ძალიან კარგია, ცუდი არ არის, თან მას ვადაც ეწურება, დროც გადის, ერთგვარი შეზღუდვებიც აქვს და ვფიქრობ, თანდათან, პრეზიდენტი გადაწყვეტილებას მიიღებს, რომ პოლიტიკაში უფრო აქტიურად ჩაერთოს. მე არ გამოვრიცხავ, რომ ის რომელიმე ოპოზიციური პარტიის სიაშიც კი ვიხილოთ. არსებობს ძალები, სადაც სალომე ზურაბიშვილიც სიამოვნებით მივა და ის ძალებიც სიამოვნებით მიიღებენ ზურაბიშვილს, – თქვა სტრატეგია აღმაშენებლის ერთ-ერთმა ლიდერმა, პაატა მანჯგალაძემ.

ირაკლი კობახიძე: „2 წელი კვდებოდა, მისი მობრუნება შეუძლებელი იყო, თუმცა, აღარ კვდება“

– ეს კაცი ორი წელი კვდებოდა, მისი მობრუნება იყო შეუძლებელი, თუმცა, ვხედავთ, რომ მობრუნდა, აღარ კვდება. რეალურად, რა თქმა უნდა, მისი დამოკიდებულება არის აბსოლუტურად არასერიოზული. ჯერ სიმულიანტობა, მართლა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, კაცი ორი წლის განმავლობაში კვდებოდა. ბოლომდე დააზიანა მან საკუთარი რეპუტაცია. დარწმუნებული ვარ, მის მხარდამჭერებს შორისაც კი შეელახა მას რეპუტაცია.

როცა საკუთარი მხარდამჭერი გიყურებს და ხედავს, რომ სიმულიანტობ, ასეთ დროს პოლიტიკური იმიჯის შენარჩუნება უბრალოდ წარმოუდგენელია. ასეთ დროს მისი სურვილი, მობრუნდეს პოლიტიკაში, რა თქმა უნდა, წარუმატებლობისთვის არის განწირული, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„დამნაშავეების დასჯა ასეთი მარტივი არ იქნება“ — ლევან იოსელიანი გინტურის მკვლელებზე

სახალხო დამცველი კირბალში იმყოფებოდა, სადაც რუსი ოკუპანტების მიერ მოკლული თამაზ გინტურის ოჯახის წევრებს შეხვდა. ლევან იოსელიანი დროული გამოძიების აუცილებლობაზე საუბრობს, თუმცა, დამნაშავეების დასჯას ეჭვქვეშ აყენებს:

– დავინტერესდი უსაფრთხოების გარემოთი ამ სოფელში. ვხედავთ, რომ პოლიცია პატრულირებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გამოძიებამ მოკლე დროში ეფექტურად ოჯახის ყველა კითხვას გასცეს პასუხი. დამნაშავეების დასჯაზე რა მოგახსენოთ, ყველას გვესმის, რომ ეს ასეთი მარტივი არ იქნება გამომდინარე გასული ამბებიდან, რაც ჩვენი მოქალაქეების მკვლელობებს უკავშირდება და არცერთი მათგანი, ჯერჯერობით, არ არის სამწუხაროდ დასჯილი, – ამბობს იოსელიანი.

ომბუდსმენი ლევან დოთიაშვილის ოჯახშიც იმყოფებოდა.

შეგახსენებთ, რომ 6 ნოემბერს, სოფელ კირბალთან, ლომისას სალოცავში, სანთლის დასანთებად მისული საქართველოს მოქალაქე, თამაზ გინტური, მოკლეს, ლევან დოთიაშვილი კი გაიტაცეს. დოთიაშვილი ოკუპანტებმა 9 ნოემბერს გაათავისუფლეს. გინტური 11 ნოემბერს კირბალში სამხედრო პატივით დაკრძალეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ რუსეთის საოკუპაციო ძალის წარმომადგენლის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად საქართველოს მოქალაქის მკვლელობის და ერთი პირის გატაცების ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 143-ე მუხლებით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას და თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს.

გინტურის ოჯახის წევრები ამბობენ, რომ 2008 წლის ომის მონაწილე, მაიორი გინტური ნიკოლაი იშჩენკომ მოკლა, რომელიც ცხინვალში დისლოცირებული რუსი სამხედროა. საქართველოს ხელისუფლება ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით დუმს. კირბალში მოსახლეობა კვლავ დაუცველად გრძნობს თავს. 23 ნოემბერს, გიორგობის აღსანიშნავად კირბალის მაცხოვრებლები წმინდა გიორგის სალოცავში აპირებენ ასვლას, რომელიც ასევე ემიჯნება საოკუპაციო ზოლს. მოსახლეობა ამბობს, რომ რისკის მიუხედავად წინაპრების სალოცავზე უარს არ იტყვიან და ხელისუფლებისგან ითხოვენ გარანტიებს.

ილჰამ ალიევი: „საფრანგეთი სამხრეთ კავკასიის რეგიონში ახალი ომების გაჩაღებისთვის ნიადაგს ამზადებს“

საფრანგეთი სამხრეთ კავკასიის რეგიონში ახალი ომების გაჩაღებისთვის ნიადაგს ამზადებს. ამის შესახებ აზერბაიჯანი პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა კონფერენციაზე „დეკოლონიზაცია: ქალების გაძლიერება და განვითარება“ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

ალიევის თქმით, საფრანგეთი უარს ვერ ამბობს თავის კოლონიალურ პოლიტიკაზე, პატივს არ სცემს იმ ერების უფლებებსა და თავისუფლებისკენ სწრაფვას, რომლებიც ევროპის მიღმა ცხოვრობენ.

– საფრანგეთი სტაბილურობას არღვევს არა მხოლოდ თავის ყოფილ და ახლანდელ კოლონიებში, არამედ ამავდროულად ჩვენს რეგიონშიც – სამხრეთ კავკასიაში, სადაც მხარს უჭერს სეპარატისტულ ტენდენციებსა და სეპარატისტებს. მილიტარისტულ პოლიტიკას ატარებს სომხეთის შეიარაღებით, სომხეთში რევანშისტულ ძალებს აქეზებს, ნიადაგს ამზადებს ჩვენს რეგიონში ახალი ომების გაჩაღებისთვის. ამავდროულად, საფრანგეთი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის თავის სტატუსს ბოროტად იყენებს თავისი მიკერძოებული, არაობიექტური პოლიტიკის გასატარებლად, სხვადასხვა რეგიონებში გეოპოლიტიკური ინტრიგებით არის დაკავებული, სახელმწიფოების წინააღმდეგ ზეწოლის საშუალებად დასავლური ორგანიზაციების გამოყენებას ცდილობს, – განაცხადა ალიევმა.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მურაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ოცნება“ 5%-იან ბარიერს მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაწევს“

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიციის ლიდერი გაუსვრელი, ძველი ცოდვების გარეშე პიროვნება უნდა იყოს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, 2024 წლის არჩევნებზე ოპოზიცია ანგარიშგასაწევ ძალად რომ იქცეს, როგორ ფიქრობთ, რა უნდა გააკეთონ?

– უნდა გააკეთონ ის, რასაც ყველა ამბობს. უნდა დაჯგუფდნენ. ეს დაჯგუფება უნდა შეიქმნას ნაციონალური მოძრაობის გარეშე. თუ გიორგი გახარიას არ უნდა ამ ერთობაში ყოფნა, ძალით ვერავინ შეიყვანს. ერთი სიტყვით, დიდი ერთობაა საჭირო. თუ ასეთი ერთობა არ შეიქმნება და ისევ იგივე პრინციპით გავლენ არჩევნებზე, მაშინ სურათი არ შეიცვლება. ისევ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს და ოპოზიციაშიც ისევ ნაციონალური მოძრაობა იქნება. იგივე რიტორიკა ექნება მმართველ პარტიას – იტყვის, მე თუ არა, ნაციონალები დაბრუნდებიან. ამიტომ თუ უნდათ სურათის შეცვლა, ოპოზიციამ მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს. დრო ძალიან ცოტა რჩება.

– ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ 5-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერი არ შეიცვლება. რა შემთხვევაში შეიძლება „ოცნებამ“ ბარიერი დაწიოს, თუ ფიქრობთ, ეს თემა დახურულია?

– არა, ასე არ ვფიქრობ. „ქართული ოცნება“ იმ წუთში დაწევს ბარიერს, თუ ნახავს, რომ 76 მანდატს ვერ აგროვებს. ეს მოხდება მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში, თუ შეიქმენება ის დიდი ოპოზიციური გაერთიანება, რომელზეც გესაუბრეთ.

სიმართლე გითხართ, ძალიან მიკვირს, როდესაც ოპოზიცია არხეინად არის და არაფერს ცვლის. დღევანდელი მდგომარეობით, საქმე აწყობილი მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ აქვს. ოპოზიციას უჭირს. პრობლემა აქვთ ყველა მიმართულებით. განსაკუთრებით ორ მიმართულებას გამოვყოფდი. ერთი – ლიდერის პრობლემა და მეორე – საარჩევნო პროგრამის, რომელიც შეიძლება სარწმუნო გახდეს ამომრჩევლისთვის.

– ლიდერი ახსენეთ. ახალ გაერთიანებას ლიდერი დასჭირდება. ჩვენი საზგადოება ისევ მხსნელზეა ორინეტირებული. ვინ უნდა იყოს ლიდერი?

– შემიძლია გითხრათ, ვინ არ შეიძლება იყოს ლიდერი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რთული საკითხია და ჩვენი საზოგადოება მართლაც ისევ მესიაზეა ორიენტირებული, ამ პრობლემის გადაჭრაც შეიძლება, თუ მოინდომეს.

არავითარ შემთხვევაში ლიდერი არ უნდა იყოს უკვე არსებული ლიდერი, რომელმაც არჩევნებში მიიღო მონაწილეობა და არანაირი შედეგი არ ჰქონია. ასეთი გაერთიანების ლიდერი ვერ იქნება ვერც ხაზარაძე, ვერც გახარია და ვერც მელია. შეიძლება ნეიტრალური ფიგურები იყოს გამოკვეთილი, რომელთაც ოპონენტი ვერაფერს მოუძებნის და წინასაარჩევნოდ შავ პიარს ვერ აუგორებს. ერთი სიტყვით, გაუსვრელი პირი უნდა იყოს ძველი ცოდვების გარეშე.

– ქართულ პოლიტიკაში ყველას პირველობა უნდა და ალბათ რთული იქნება პოზიციების დათმობა.

– ამიტომ ვამბობ, თუ მიზანი საერთო საქმეა და როგორც თვითონ ამბობენ, ქვეყნის ინტერესებია და არა საკუთარი, მაშინ უნდა დათმონ. თუ არა, ვივლით ერთი და იგივე წრეზე ისე, რომ არაფერი შეიცვლება.

– შეიძლება საზოგადოებისთვის ე.წ. ცნობადი სახე იყოს?

– მთავარია, ერთობა შეიქმნას და კონსულტაციები დაიწყოს. მერე შეიძლება შიდა არჩევნებიც იყოს. გვარები ჩამოწერონ და ვის რამდენი ხმა ექნება, ასე გამოვლინდეს. თუ სურვილი იქნება, ყველაფერი შესაძლებელია. მთავარია, გამარჯვების სურვილი იყოს. მერე „ქართული ოცნებაც“ სხვანაირად ალაპარაკდება და შეიძლება კონსულტაციებიც დაიწყოს ბარიერის დაწევაზე. ეს ყველაფერი შეუძლია ოპოზიციას, თუ მოინდომებენ. თუ არადა, ყველაფერი ისევ ისე დარჩება. ძალიან გასაკვირია, რატომ იქადნიან ის პარტიები, რომელთაც არ აქვთ დიდი საარჩევნო გამოცდილება.



– ვისზე საუბრობთ?

– თუნდაც გახარიას პარტიაზე, რომელიც ამბობს, მარტოც მზად არის 5-პროცენტიანი ბარიერი გადალახოს. ადგილობრივი არჩევნები სულ სხვა არჩევნებია. დიდი არჩევნები კი სულ სხვა არის. ან „ლელო“, რომელიც იძახის, „ჩვენი კარი ღიაა. ახლა კარის ღიაობაზე კი არ უნდა იყოს საუბარი, არამედ გაერთიანებაზე, დიდ ერთობაზე. „ლელოსა“ და გარიას პარტიას თითქმის იდენტურ მაჩვენებლები აქვთ და ახლოს არიან 5-პროცენტიან ზღვართან. საკმარისია არაფერი შეიცვალოს პოლიტიკურ ველზე, „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ისევ პირისპირ აღმოჩნდნენ და ორივემ, „ლელომაც“ და გახარიამაც დაკარგოს ხმები „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. მაშინ უპრობლემოდ შეძლებს „ოცნება“ 76 მანდატის მოგროვებას. თუ პრეზიდენტი სააკაშვილს წინასაარჩევნოდ შეიწყალებს, მაშინ „ოცნება“ მთლად გაიხარებს. ძალიან ბევრი ნიუანსია, რამაც არჩევნებზე საგრძნობი გავლენა შეიძლება იქონიოს.

ზურაბ ნოღაიდელმა კარტოგრაფების წინააღმდეგ ჩვენება ვერ მისცა

ზურაბ ნოღაიდელმა კარტოგრაფების წინააღმდეგ ჩვენება ვერ მისცა. ყოფილი პრემიერი, რომელიც პროკურატურის იმედი იყო, დავით გარეჯის საქმეზე კითხვებს ასე პასუხობდა. არ ვიცი, ჩემი კომპეტენცია არ იყო! – ეს იყო ყოფილი პრემიერის მთავარი სათქმელი.

სახელმწიფო ბრალდებას აინტერესებდა, როგორც გადაწყდა 2005 წელს საზღვრის სადემარკაციო საკითხი აზერბაიჯანთან, როცა მთავრობის მეთაური ნოღაიდელი იყო.

თუმცა, ნოღაიდელი ამბობს, რომ ეს იმჟამინდელი პრეზიდენტის, ანუ მიხეილ სააკაშვილის კომპეტენცია იყო.

– ერთადერთი შემთხვევა, როდესაც გარეჯის საკითხი იყო განხილული მისი პრემიერობის პერიოდში, ნოღაიდელმა გაიხსენა უშიშროების საბჭოს სხდომა.

როგორც ნოღაიდელი იხსენებს, მაშინ სააკაშვილი ამბობდა, რომ მოეძებნათ საშუალება, რომლითაც საქართველოს სასაზღვრო ტერიტორიაში დარჩენილიყო გარეჯის კომპლექსის სრული ნაწილი, რაზეც მაშინ კომისიისგან მიიღეს პასუხი, რომ არ არსებობდა მტკიცებულებები ამ ყველაფრის გასაკეთებლად. სხვა ყველაფერზე პასუხად, ნოღაიდელი ამბობდა, რომ ეს არ იყო მისი კომპეტენცია.

ორჯერ იყო ინციდენტი კომპლექსის ირგვლივ, ეს ერთ-ერთი მორიგი ინციდენტი იყო, რაზეც რეაგირება იყო ჩვენი მხრიდან აუცილებელი. ერთი მხრივ, ეს წერილი გამოძახილია, გარკვეულწილად, უშიშროების საბჭოზე განხილვისა, როდესაც საბჭოს ეცნობა, რომ არცერთი ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტით დავით გარეჯის კომპლექსის ეს ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე არ რჩება.

მთავრობის სხდომაზე ეს საკითხი არ განხილულა, ჩემთან, როგორც პრემიერთან, თათბირზე ეს საკითხი ვერ განიხილებოდა, იმიტომ, რომ ეს ჩემი კომპეტენცია არ იყო. ეს პრეზიდენტის უშუალო კომპეტენციაა. გადაწყვეტილებაც მას უნდა მიეღო აუცილებლად. არაფორმალურად საკითხის განხილვა არ მახსენდება. ერთადერთი რამ, რაც ჩემთვის, როგორც პრემიერ-მინისტრისთვის ცნობილი იყო, არის ის, რომ ჩვენ ხელთ არ არის არცერთი ოფიციალური დოკუმენტი, რუკა და არცერთი სხვა საბუთი, რომელიც ჩვენ საშუალებას მოგვცემდა ამ ტერიტორიის საქართველოსთვის მოკუთვნებისთვის, – განაცხადა ნორაიდელმა პროკურატურის კითხვების საპასუხოდ.

რაც შეეხება დაცვის მხარის კითხვაზე, საგარეო პოლიტიკის განხორციელება პრეზიდენტის კომპეტენცია იყო თუ მთავრობის? ნოღაიდელმა უპასუხა, რომ ეს პრეზიდენტის კომპეტენცია იყო.

უფლებადამცველმა გიორგი მშვენიერაძემ ამ კითხვის საპასუხოდ ნოღაიდელს უთხრა, რომ მას საქართველოს კონსტიტუციის მუხლი არ აქვს წაკითხული.

– ძალიან ვწუხვარ, რომ პირველი მუხლი არ გაქვთ წაკითხული კანონის, რომლითაც უფლებამოსილებას ახორციელებდით, – უთხრა მშვენიერეაძემ ნოღაიდელს.

მშვენიერაძის კითხვაზე – თუ იცნობდით, ან თუ იყო წარმოდგენილი რაიმე დოკუმენტი რუკების გარდა მთავრობის სახელზე გამოგზავნილი, სადაც აღწერილი იყო პროცესი, რა გზა გაიარა საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფომ, რომ საზღვრის დელიმიტაციის პროცესთან დაკავშირებით, თქვენს პრემიერობამდე?

ნოღაიდელმა უპასუხა, რომ არ იცნობდა მსგავს არაფერს და კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ერთადერთი შემთხვევა, როდესაც გარეჯის საკითხი იყო განხილული მისი პრემიერობის პერიოდში, იყო უშიშროების საბჭოს სხდომა.

ყოფილ პრემიერ-მინისტრთან კითხვები ჰქონდა ივერი მელაშვილსაც. მან სცადა რამდენიმე კითხვის დასმა, თუმცა, ნოღაიდელისგან ვერც მან მიიღო პასუხები.

ამის შემდეგ მელაშვილმა თქვა, რომ კითხვების დასმას აზრი არ ჰქონდა, რამაც მოსამართლის განაწყენება გამოიწვია.

მომდევნო სხდომა დეკემბერშია ჩანიშნული და მოწმეების გამოკითხვა გარეჯის საქმეზე გაგრძელდება.

კარტოგრაფების საქმეზე ხმაურიანი სასამართლო სხდომები თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა, შემდეგ კი პროცესები თავიდან დაიწყო. ახლა ყველა მოწმე ხელახლა დაიკითხება.

კარტოგრაფების საქმეზე პროკურატურა ივერი მელაშვილსა და ნატალია ილიჩოვას საზღვრების დელიმიტაციის პროცესში, საქართველოს ტერიტორიების საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებებში ადანაშაულებს.

ბრალდებულები სასამართლომ სხდომათა დარბაზიდან 2021 წლის 28 იანვარს გაათავისუფლა. მოსამართლემ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 20.000-20.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეუცვალა.

ვინ არის ქართული მაფიის ბოსი, ვინც ამერიკული FBI-ის სამიზნე გახდა

ვინ არის ქართული მაფიის ბოსი, ვინც ამერიკული FBI-ის სამიზნე გახდა? – როგორც გაირკვა, კაცი, რომელიც მსოფლიოო მეგაპოლისში ადამიანებს აშინებდა და დიდ ფულს სძალავდა, უკრაინის მიერ სანქცირებულ პირთა სიაშია შეყვანილი.

არსებული ცნობებით, რუსეთ-უკრაინის ომში მხარდაჭერას პუტინის რეჟიმს უცხადებდა.

ვაჟა ცუცხაშვილი, იგივე ვაჟა „ქუთაისიკი“, რომელსაც ახლა მრავალწლიანი პატიმრობის გატარება ამერიკულ ციხეში მოუწევს.

ცუცხაშვილის გარდა, უცხოელების ტერორის ბრალდებით ნიუ იორკში კრიმინალური დაჯგუფების სამი პირი – კახა კაცაძე, თეიმურაზ თავბერიძე (თავა) და დავით ტიკარაძე დააკავეს. საბრალდებო დასკვნის თანახმად, გაბადაძე და მისი თანამზრახველები მსხვერპლისთვის ფულის გამოძალვას ფიზიკური ძალადობის მუქარით ცდილობდნენ. ჩადენილი დანაშაულები კი 2022 წლის სექტემბრიდან 2023 წლის აგვისტოს პერიოდში ხდებოდა.

ვაჟა ცუცხაშვილის ახლობლები ამბობენ, რომ მომხდარის შესახებ მედიით გაიგეს და დაკავებულის საქმიანობის შესახებ არაფერი იციან.

ქართველებმა გერმანიაში სუნამოები მოიპარეს

ქურდობის ბრალდებით, გერმანიაში, ორი ქართველი დააკავეს. არსებული ინფორმაციით, ქართველებმა აფთიაქიდან 700 ევროს ღირებულების ორი სუნამო მოიპარეს.

დაკავებულების ჩხრეკისას პოლიციამ ზამთრის ქუდები და შარფები იპოვა, რომლებიც ასევე, სავარაუდოდ, მოპარულია.

სენაკის სასულიერო გიმნაზიის შენობიდან ფანჯარა ჩამოვარდა და ორ პედაგოგს დაეცა

სენაკის სასულიერო გიმნაზიის შენობიდან ფანჯარა ჩამოვარდა და ორ პედაგოგს დაეცა, ინფორმაციას „მთავარი არხი“ ავრცელებს. შემთხვევა დღის პირველ ნახევარში მოხდა. არსებული ინფორმაციით, ისინი სენაკის საავადმყოფო „არქიმედეში“ გადაიყვანეს.

ერთ-ერთი მათგანი სამკურნალოდ სახლში გაწერეს, მეორე კი კლინიკაში, მედიკოსების მეთვალყურეობის ქვეშ რჩება. მას თავის ტრავმა აქვს.

მოზარდი, რომელსაც ორთაჭალაში სატვირთო დაეჯახა, გარდაიცვალა

11 წლის მოზარდი, რომელსაც გორგასლის ქუჩაზე სატვირთო დაეჯახა, გარდაიცვალა. შსს-მ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

გაჩერებული ტრაილერი მოულოდნელად დაგორდა და 11 წლის ბავშვი მოიყოლა.

უბედური შემთხვევა თბილისში გორგასლის 41 ნომერში მოხდა.

კახეთში კაცს ტყეში ხე დაეცა და დაიღუპა

უბედური შემთხვევა მოხდა კახეთში – კაცს ტყეში ხე დაეცა და დაიღუპა. შემთხვევა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ მსხალგორში მოხდა.

კაცი ტყეში იმყოფებოდა, მოჭრილი ხე წაიქცა და ის ქვეშ მოიყოლა. ადგილობრივების ინფორმაციით, მამაკაცი შეშის დამზადებას ცდილობდა.

გარდაცვლილი უკვე საკუთარ საცხოვრებელ სახლშია გადასვენებული.

კახეთში, შეშის დამზადების ყოველ სეზონზე, ადამიანის გარდაცვალების რამდენიმე ფაქტია დაფიქსირებული.

მშობიარობა და საკეისრო კვეთა სრულად ფინანსდება — ჯანდაცვის სამინისტრო

ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, მშობიარობა და საკეისრო კვეთა, ყველა მოქალაქისთვის სრულად ფინანსდება.

უწყება ამბობს, რომ დაფინანსება მოიცავს არჩევით ექიმის აყვანისა და გაუტკივარების საფასურს. ასევე, მედიკამენტების, კვებისა და პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯს, შესაბამისად, პაციენტს თანხის გადახდა არ მოუწევს.

– რაც შეეხება ჩვენების გარეშე, პაციენტის მოთხოვნის საფუძველზე ჩატარებულ საკეისრო კვეთას, ან ე.წ. VIP პალატის მომსახურებას, აღნიშნული სერვისები სახელმწიფოს მიერ არ ფინანსდება, – წერია განცხადებაში.

აღნიშნული ცვლილება სამედიცინო დაწესებულებების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების სისტემის გაფართოების შედეგად განხორციელდა. DRG მოდელით მშობიარობისა და საკეისრო კვეთის მომსახურების ტარიფები გათანაბრდა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ ყველა სამედიცინო დაწესებულებაში, 1.222 ლარით განსაზღვრა;

ქვეყანაში საკეისრო კვეთის მაღალი მაჩვენებლის გამო, მიზანშეწონილად ჩაითვალა საკეისრო კვეთისა და მშობიარობის ფასის გათანაბრება, რაც შეამცირებს სამედიცინო პერსონალის მოტივაციას საკეისრო კვეთის სასარგებლოდ.

რა მოჰყვება მანიფესტის ხელმოწერას ნაციონალურ მოძრაობაში?

მარიამ მჭედლიშვილი

23 ნოემბერს, კლინიკა „ვივამედში" მყოფი ექსპრეზიდენტის ინიციატივით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებმა ხელი უნდა მოაწერონ მანიფესტს. მასში პარტიის ერთიანობაზეც არის საუბარი. მიხეილ სააკაშვილის თქმით, ვინც მანიფესტს ხელს არ მოაწერს, პარტიის გარეთ აღმოჩნდება.

ამასთან, ქართულ პოლიტიკაში საგრძნობლად გააქტიურებული სააკაშვილი კისრულობს პარტიის პოლიტიკური საბჭოს მართვას:

– ჩემს თავზე ვიღებ პოლიტიკური საბჭოს კოორდინაციას. პოლიტიკური საბჭო უფრო ლეგიტიმური გახდება, თუ ადრე არჩეულ ხალხს დავაბრუნებთ.

შესაძლოა, პარტიაში არსებული განხეთქილება 23 ნოემბრის შემდეგ ახალი გაყოფით დამთავრდეს.

პარტიის მოქმედი თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი აცხადებს, რომ ნიკა მელია პარტიიდან, ფაქტობრივად, გარიცხული და გარიყულია.

პარტიის ყოფილი თავმჯდომარე ნიკა მელია თავისი გუნდის წევრებთან ერთად ბოლო დროს მართავდა შეხვედრებს. ის ამბობდა, რომ გამოსავალს პარტიაში ნდობის უფლებამოსილი საბჭოს შექმნაში ხედავს. მისი თქმით, არსებობს ინიციატივის მხარდამჭერი 40.000 ადამიანის ხელმოწერა.

დიდი ალბათობით, ნიკა მელია და მისი გუნდი პოლიტიკაში ცალკე პლატფორმიდან ჩაერთვებიან.

ნაციონალური მოძრაობა პარტიის რეიტინგებში დღემდე მეორე ადგილს იკავებს და ოპოზიციურ პარტიებში ლიდერობს. სააკაშვილის თქმით, პარტიის მიზანი პირველი ადგილი უნდა იყოს.

ეს ამბიციური გეგმა არარაელისტურად მიაჩნიათ პოლიტიკოსებს.

– პირველი ადგილისთვის რომ იბრძოლოს, ამისთვის მიხეილ სააკაშვილს ბევრი ზღაპარი აქვს მოსაყოლი, – ამბობს „გირჩის" ლიდერი იაგო ხვიჩია.

23 ნოემბრის მანიფესტამდე სამი დღით ადრე ნაციონალური მოძრაობა უცნაურ მდგომარეობაში აღმოჩნდა მიხეილ სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას სიტყვების გამო. იგი მონაწილეობდა ქართველ ემიგრანტებთან მიმდინარე შეხვედრაში. თემურ ალასანიამ მხარი დაუჭირა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ძალით დაბრუნებას.

ამას საქართველოში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ნაციონალურმა მოძრაობამ ამ საკითხზე დუმილი არჩია.

– თემურ ალასანიას განაცხადი არ არის მხოლოდ მისი, არამედ არის აქაური რადიკალებისაც, – აღნიშნა „ხალხის ძალის" წევრმა გურამ მაჭარაშვილმა.

მისი აზრით, თემურ ალასანიამ ნაციონალურ მოძრაობას ნიღაბი ჩამოხსნა.

როგორ მოიქცევა საქართველო პუტინის უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ?

მარიამ მჭედლიშვილი

ევროკავშირის ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით, საქართველომ თავისი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ევროკავშირისას უნდა დააახლოოს. საქართველოს ახლანდელი ამოცანაა, გახდეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი.

კიდევ ერთი ევროპული ორგანიზაციის – ევროპის საბჭოს შემადგენლობაში საქართველო ოცდახუთ წელიწადზე მეტია ხანია არის. მისი წევრი იყო რუსეთიც, რომელიც უკრაინაში შეჭრის გამო ორგანიზაციიდან გარიცხეს. წესით, საქართველო ვალდებულია, ამ ორგანიზაციის პოლიტიკაც გაიზიაროს.

ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებულია ორი რეზოლუცია, რომელიც რუსეთის ხელისუფლებას და პირადად პუტინს ეხება. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია ასახავს პუტინის არალეგიტიმურად ცნობას მისი უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ. რუსეთში 2024 წლის მარტში საპრეზიდენტო არჩევნებია დაგეგმილი. პუტინს ჯერ არ გამოუცხადებია, რომ არჩევნებში მონაწილეობს, თუმცა, ყველა დარწმუნებულია, რომ პუტინს პრეზიდენტობის სურვილი სამომავლოდაც არ განელებია. არჩევნებიც რომ მოიგოს, ევროპის საბჭო პუტინს პრეზიდენტად არ აღიარებს. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მოუწოდა ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს, არალეგიტიმურად აღიაროს ვლადიმირ პუტინი მისი პრეზიდენტობის ახლანდელი ვადის გასვლის შემდეგ.

მეორე რეზოლუცია მიიღო ორგანიზაციის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესმა. ის ითვალისწინებს რუსეთის მუნიციპალური ორგანოების იმ დეპუტატების მხარდაჭერას, რომლებსაც რუსეთის ხელისუფლება ანტისაომარი და სხვა სახის განსხვავებული მოსაზრებების გამო დევნის და აპატიმრებს.

აღმოჩნდა, რომ ევროპის საბჭო ადგენს რუსეთის მიერ ომის დროს ჩადენილი დანაშაულებისა და ზარალის რეესტრს. უკრაინის გარდა, რუსეთმა საქართველოსაც დაატეხა ომები. სასურველია, რომ რეესტრში საქართველოსთვის მიყენებული ზიანიც შეიტანონ.

რადიო „თავისუფლების" რუსულ სამსახურს ესაუბრა ერთ-ერთი რეზოლუციის ავტორი, ლეერდერტ ვეერბოკი, რომელიც ბოლო დრომდე ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის თავმჯდომარე იყო.

– როგორ შეუძლია კონგრესს დაეხმაროს იმ დეპუტატებს, რომლებიც იდევნებიან რუსეთში?

– ასეთ შემთხვევებში ჩვენ ვასახელებთ ხოლმე გვარებს და ვავრცელებთ ინფორმაციას მათზე, ვინც იდევნება. ეს ამ ადამიანებს ეხმარება იმ თვალსაზრისით, რომ ადგილობრივი ხელისუფლებები უფრო კორექტულად ეპყრობიან მათ ციხეებში. სხვა ქვეყნებში ასე იყო და რუსეთის შესახებ პასუხი არ მაქვს. იმედი მაქვს, რომ თუ საერთაშორისო თანამეგობრობა თვალყურს მიადევნებს ამ ადამიანებს და სხვებსაც, ეს იმუშავებს.

– იყავით კონგრესის თავმჯდომარე უკრაინაში ომის დაწყებამდე. მაშინ თქვენთან ერთად მუშაობდა რუსეთის დელეგაცია. თუ ამჩნევდით, რომ ომი ახლოვდებოდა?

– ახლა ვხედავთ იმას, რასაც ვხედავდით ომამდე ცოტა ხნით ადრე. ჩვენ ამას „დემოკრატიიდან წასვლას" ვუწოდებთ. ეს საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა. ზოგიერთი ჩვენგანი ამბობდა, რომ რუსეთი დაბრუნდა ცარიზმის ეპოქაში. ახლა ესაა რადიკალური ავტორიტარული რეჟიმი. რუსეთის პოლიტიკური ელიტა ძალიან მცირეა ამ ქვეყნის მოცულობასთან შედარებით. ამ ელიტის სურვილია, მოიქცეს ძალიან აგრესიულად საკუთარი საზოგადოების მიმართ და დარჩეს ხელისუფლებაში.

ვიყავი (ომის დაწყების წინ) იმ ნერვოზულობის მოწმე, რომლის წყარო რუსეთი იყო. ადამიანები ლაპარაკისას სულ უფრო ფრთხილები ხდებოდნენ. ისინი (რუსები) უბრალოდ იმეორებდნენ საკუთარი საელჩოდან მიღებულ ტექსტებს.

მგონია, რომ ეს ყველაფერი იყო ხანგრძლივი პროცესის შედეგი. ის მიმდინარეობდა უკრაინის ომამდე დიდი ხნით ადრე. ომმა ეს სიტუაცია გაამძაფრა. ეს ომი, ჩემი დაკვირვებით, წარმართა სრულიად სხვანაირად, ვიდრე ისინი (რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები) წარმოიდგენდნენ.

– რა ხდებოდა უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების გარშემო?

– უკრაინის ტერიტორიების ოკუპაციამ გამოიწვია რუსეთის გარიცხვა ევროპის საბჭოდან. ჩვენი უთანხმოების ნიშნად მასთან გავწყვიტეთ ურთიერთობა. ეს ძალიან ემოციური მომენტი იყო, ვინაიდან ამ მოცულობის ქვეყანას ამგვარი რამ არასდროს მოსვლია. ჩვენ ყველანი უპირობო სოლიდარობას ვუცხადებდით უკრაინას. ვმსჯელობდით, რა შეგვეძლო მისთვის გაგვეკეთებინა. გავემგზავრე უკრაინაში. მქონდა ურთიერთობა ქალაქების მერებთან, რომლებიც აღმოჩნდნენ საბრძოლო მოქმედებების ეპიცენტრში. რაც შეგვეძლო, ვაკეთებდით. გაჩნდა პლატფორმა „ქალაქები ქალაქებისათვის". ქალაქები ერთმანეთს დღემდე ეხმარებიან.

– შევეხოთ იმ რეზოლუციასაც, რომელიც ეხება პუტინის ლეგიტიმურობის არცნობას 2024 წელს მისი უფლებამოსილებების გასვლის შემდეგ. იმოქმედებს თუ არა ეს ორგანიზაციის შემდგომ საქმიანობაზე? როგორ განხორციელდება ეს რეზოლუცია?

– ეს უდავოდ იმოქმედებს ჩვენს მუშაობაზე, ვინაიდან ევროპის საბჭოს ერთ-ერთი საფუძველია სამართლის უზენაესობა. თუ ვხედავთ, რომ ვინმე სჩადის დანაშაულს, პასუხისმგებელი პირი უნდა დაისაჯოს. თუ ახლა ეს შეუძლებელია, მაშინ მომავალში მაინც არ უნდა შერჩეს.

დავიწყეთ ომით მიყენებული ზარალის რეესტრის შექმნა. ვაპირებთ შევადგინოთ ყველა ქმედების, მთელი ზიანის რეესტრი. ოდესმე დამნაშავეებს მოუწევთ პასუხისგება. ამის გამო მარტო პირადად პუტინმა კი არა, მთელმა ქვეყანამ უნდა აგოს პასუხი.

ეკონომიკა

უბილეთო მგზავრობისთვის გამოწერილი ჯარიმების მოცულობა 1,4 მლნ ლარით გაიზარდა

2023 წლის იანვარ-ოქტომბერში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, უბილეთო მგზავრობაზე გამოწერილი ჯარიმებიდან ბიუჯეტში შესული თანხა 85%-ით, 1,4 მლნ ლარით გაიზარდა.

კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების (კონსოლიდაციის გარეშე), მიხედვით, წელს 10 თვეში უბილეთო მგზავრებზე 3.087.325 ლარის ჯარიმა გამოიწერა, 2022 წლის იანვარ-ოქტომბერში – 1.666.870 ლარის.

ამასთან, გაზრდილია ზოგადად სანქციებიდან, საურავებიდან და ჯარიმებიდან ბიუჯეტში შესული თანხის მოცულობაც. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, წელს 10 თვეში ჯარიმებიდან და საურავებიდან ბიუჯეტში 297,024 მლნ ლარი შევიდა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში – 229,169 მლნ ლარი.

„აუცილებელია, ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ლეგალიზაციის აბსოლუტურად უაზრო პროცესი"

2024 წლის 1-ელ იანვრამდე ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდგომ შენობა-ნაგებობაზე, რომელიც სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშეა, ამნისტია გავრცელდება და მოქალაქეებს საკუთრების დაკანონების შესაძლებლობა ექნებათ. ინიციატივა პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს ეკუთვნის.

ვის შეეხება ამნისტია და როგორ აისახება უძრავი ქონების ბაზარზე ახალი ინიციატივა გადაცემაში „დილის პალიტრა" სამშენებლო სფეროს სპეციალისტმა, უჩა ზაქაშვილმა ისაუბრა.

– ამნისტიის გამოცხადება, სავარაუდოდ, უკავშირდება დღემდე არსებულ მანკიერ პრაქტიკას, როცა საჯარო რეესტრი მხოლოდ უფლების დამდგენი დოკუმენტის საფუძველზე ახდენდა მათ შორის უკანონო სახლების რეგისტრაციას. რაც შემდეგ ქმნიდა უამრავ პრობლემას, რადგან კეთილსინდისიერი მყიდველები, ანუ ისინი, ვინც ენდნენ საჯარო რეესტრის დოკუმენტაციას, მოგვიანებით ხდებოდნენ ხოლმე სხვადასხვა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების ადრესატები. მათ შორის, მუნიციპალური ინსპექციის მხრიდანაც ხდებოდა მათი სანქცირება.

ეს პრობლემა მრავალი წელია არის ქვეყანაში და ჩემი პირადი მოსაზრებით, სამშენებლო ამნისტია უკავშირდება საჯარო რეესტრისვე მანკიერი პრაქტიკის გასწორებას. თუმცა, ამაში არა მხოლოდ კერძო სახლები მონაწილეობენ, არამედ ნებისმიერი უძრავი ქონება, რადგან წლების განმავლობაში საჯარო რეესტრი ასე ბრმად არეგისტრირებდა, მხოლოდ უფლებადამდგენი დოკუმენტის საფუძველზე ქონებებს. შემდგომში კი, სამოქალაქო ბრუნვის შედეგად კეთილსინდისიერ შემძენებს ექმნებოდათ დიდი პრობლემები. ახლაც სასამართლოში არაერთი ასეთი დავაა. ცხადია, ეს პრაქტიკა იყო გამოსასწორებელი. იმისთვის, რომ ამ ინიციატივამ რეალურად შეცვალოს და გამოასწოროს ფონი, მნიშვნელოვანია რა სახით იქნება მიღებული ამნისტია. ჯერ, მხოლოდ იდეა არსებობს.

ამნისტიის ეფექტურობისთვის აუცილებელია ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ლეგალიზაციის აბსოლუტურად უაზრო პროცესი. სახელმწიფო დღეს აკანონებს იმ შენობა-ნაგებობას, რომლებიც 2007 წლის 1-ელ იანვრამდე აშენდა. საერთოდ აბსურდია, რამენაირად დაადგინო, როდის აშენდა ან რასთანაა კავშირში ეს თარიღი. უბრალოდ, მაშინ მიიღეს და შემდეგ დარჩა საორიენტაციოდ. იმედია, ახალი ამნისტია ამასაც გააუქმებს, რადგან, ეს რეგულაციები აჩენდა კორუფციის საფრთხეს, – განაცხადა უჩა ქაზაშვილმა.

ინფორმაციისთვის, იუსტიციის მინისტრის განმარტებით, ეს ინიციატივა მილიონზე მეტ მოქალაქეს შეეხება და იმ საცხოვრებელ სახლებზე გავრცელდა, რომლებიც მომავალი წლის 1-ელ იანვრამდე აშენდება. რაც შეეხება იმ სახლებს, რომლებიც 1-ლი იანვრის შემდეგ აშენდება, მათ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩაშვებას პროექტი აღარ ითვალისწინებს.

რომელმა ბანკებმა მიიღეს საკომისიოებიდან ყველაზე მეტი შემოსავალი

2023 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა საკომისიოებიდან 956.948.950 ლარი მიიღეს. ამის შესახებ კომერციული ბანკების ანგარიშგებაშია აღნიშნული.

ამავე მონაცემებით, საკომისიოებიდან მიღებული შემოსავლის მოცულობით, თოპ-5 ბანკში შედის: საქართველოს ბანკი – 451.341.149 ლარი; თიბისი ბანკი – 382.401.804 ლარი; კრედო ბანკი – 40.535.914 ლარი; liberty ბანკი – 38.399.152 ლარი; ბაზის ბანკი – 11.191.800 ლარი.

რაც შეეხება სხვა კომერციული ბანკების მიერ საკომისიოებით მიღებული თანხის მოცულობას, ასე გამოიყურება: ტერა ბანკი – 9.879.884 ლარი, ვითიბი ბანკი ჯორჯია – 74.554 ლარი, ხალიკ ბანკი საქართველო – 1.726.876 ლარი, პროკრედიტ ბანკი – 9.206.579 ლარი, სილქ ბანკი – 276.547 ლარი, ქართუ ბანკი – 5.720.704 ლარი, იშ ბანკი საქართველო – 2.921.658 ლარი, პაშა ბანკი – 1.973.601 ლარი, ზირაათ ბანკი – საქართველო – 1.296.593 ლარი, პეისერა ბანკი – 2.125 ლარი.

2023 წლის მეორე კვარტალში ბაზარზე სულ 15 კომერციული ბანკი ოპერირებდა. აქედან ერთი, „პეისერა" პირველი ციფრული ბანკია, რომელიც საქართველოში რამდენიმე თვეა ამოქმედდა.

სოხუმის დაცემის დეტალები — რატომ არ დაემორჩილა ჯაბა შევარდნაძეს

ინტერვიუ ომის ვეტერან, პოლკოვნიკ დოდო გუგეშაშვილთან. 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა და ამას მთლიანად აფხაზეთის ძირძველი ქართული მიწის, დანარჩენი საქართველოსგან ჩამოშორება მოჰყვა. დღეს გუგეშაშვილი სწორედ სოხუმის დაცემის ტრაგიკულ დღეებზე გვიამბობს.



– 1993 წლის ავგუსტით 27 სექტემბრამდე როგორი პოლიტიკური ვითარება იყო საქართველოში?

– დასავლეთ საქართველოში ისევ სამოქალაქო ომია. ზვიადისტები და სამთავრობო ჯარები ისევ ძმათამკვლელ ომში არიან ჩაბმულები. 1993 წლის 7 სექტემბერს ზვიადისტების გაზეთ „აღდგომაში“ შემდეგი ცნობა ქვეყნდება: „საქართველოში აღდგა კანონიერი ხელისუფლება, მინისტრთა კაბინეტი პრემიერ-მინისტრ ბესარიონ გუგუშვილის ხელმძღვანელობით“. ამავე გაზეთში იბეჭდება გამსახურდიას განკარგულებები და ბრძანებები გროზნოდან. ამ ბრძანებების საფუძველზე გადაკეტილია გზები, ზუგდიდში დაყაჩაღებულია აფხაზეთისთვის განკუთვნილი ტექნიკა, იარაღი, ტყვია-წამალი.

სენაკში დგანან აფხაზეთისთვის განკუთვნილი, შეიარაღებით სავსე ეშელონები; ზუგდიდში განაიარაღებენ აფხაზეთიდან მომავალ ჯარისკაცებს, დაჭრილებს, უმოწყალოდ სცემენ, ნაწილი ტყვედ აჰყავთ. ჩხრეკენ დაღუპულთა კუბოებს, აყოვნებენ მიცვალებულთა წასვენებას. პარალიზებულია რკინიგზა, საავტომობილო მაგისტრალები. ზვიადისტებმა თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს ქალაქები აიღეს, ახლა სამტრედიისკენ მიიწევენ.

შევარდნაძესა და იოსელიანს შორის უკიდურესად დაძაბული ურთიერთობაა. შევარდნაძე უკონტროლო ძალაუფლებისკენ მიისწრაფვის, ანუ ცეკას მდივნობის დროინდელი მდგომარეობისკენ. შევარდნაძის დიქტატორული მიდრეკილებების წინააღმდეგ უკვე ღიად გამოდის ჯაბა იოსელიანი პარლამენტის სხდომებზე. ამის გამო იოსელიანს ასევე ღიად უპირისპირდებიან დეპუტატებისა და ინტელიგენციის ერთი ნაწილი. ჯაბა იოსელიანი შევარდნაძეს პარალელური სტრუქტურების და თანამდებობების შექმნაში ადანაშაულებს. ასევე ინტრიგანულ დამოკიდებულებებში, დიქტატორულ მისწრაფებებში, კომუნისტურ-ბოლშევიკური პრინციპების ერთგულებაში. იოსელიან-შევარდნაძის ერთ-ერთი პირისპირ საუბრის მერე, შევარდნაძე გადადგომის შესახებ განცხადებას აკეთებს. მერე ამაზრზენი ფაქტი ხდება: პარლამენტის ფასადის მხარეს, ქუჩაში, ხალხის მასა იჩოქებს.

მე ისევ დალის ხეობიდან ჩამოვდივარ და ბიჭებთან ერთად ცხენისწყალთან ვმაგრდები (სამტრედიასთან). ისევ დაირღვა ხელშეკრულება აფხაზების და რუსების მხრიდან, ისევ ორად იყოფა სამთავრობო ჯარი. ნაწილი აფაზეთის დასაცავად მიდის ისევ, ნაწილი კი რევანშისტ ზვიადისტების მხრიდან თბილისზე „მარშის“ შესაჩერებლად. ამ დროისთვის ოჩამჩირეს ადგილობრივი 24-ე ბრიგადა იცავს, სოხუმს – სოხუმელი ვაჟკაცები. აფხაზეთიდან ძირითადი ტექნიკა და არტილერია გამოტანილია, დანარჩენი სამეგრელოშია დაპატიმრებული.

– ამ დროისთვის ჯაბა იოსელიანს რა სტატუსი აქვს?

– მხოლოდ პარლამენტის წევრია. იოსელიანი თავისი ნებით უარს ამბობს შევარდნაძის მოადგილეობაზე და უშიშროების საბჭოდანაც გამოდის.

– როგორ მოხდა, რომ აფხაზეთი ქართული შეიარაღებული ძალების, ტექნიკის, არტილერიის, შეიარაღების გარეშე დარჩა?

– სოხუმის მოლაპარაკებების დროს გადაწყდა, რომ მოხდეს შეიარაღებული მხარეების დაშორიშორება; საქართველოს შეიარაღებული ძალები გამოვიდნენ აფხაზეთიდან (გარდა ადგილობრივი მეომრებისა); ასევე კონფედერატები და ათასი ჯურის მომხდური, რომლებიც გროზნოში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ჯერ კიდევ 1992 წლის აგვისტოში შემოეხეტნენ აფხაზეთში ქართული სახელმწიფოს დასაშლელად და სეპარატისტების გვერდიგვერდ დაუნდობლად ანადგურებდნენ ქართულ გენოფონდს, უნდა გავიდნენ საქართველოს ძირძველი მიწის, აფხაზეთის ტერიტორიიდან (უკვე მერამდენედ ხდება ასეთი შეთანხმების ხელმოწერა).

ჯაბა იოსელიანი ოფიციალურად ამ პროცესში მონაწილეობას არ იღებს. მხოლოდ ბოლო დღეს, როცა უკვე დეტალებია შესათანხმებელი, სანდრო კავსაძის და სამხედრო შტაბის თხოვნით, ჯერ მიდის კომისიის თათბირზე, რომელსაც რუსეთის საგანგებო სიტუაციების მინისტრი შოიგუ ხელმძღვანელობდა და უსაგნო ლაყბობის მოსმენის მერე, სასაცილოდ იგდებს შეთანხმების ტექსტში ვარსკვლავებით აღნიშვნის პროცედურას. იოსელიანი აცხადებს, რომ „არ დავუშვებთ ხუთქიმიანი ვარსკვლავებით მანიპულირებას, თუ ვარსკვლავი აუცილებელია, ექვსქიმიანი იყოს“! – ტოვებს თათბირს და ახლა უკვე სამხედრო სანატორიუმის ბაღში შეკრებილ სამხედრო ექსპერტებთან მიდის. იქ არიან აფხაზი, რუსი და ქართველი გენერლები. უკვე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 30 კილომეტრით უნდა დააშორიშორონ შეიარაღებული ძალები. განიხილება მრავალი ვარიანტი. ვერაფერზე თანხმდებიან. ჯაბა იოსელიანი იღებს სახაზავს და რუკაზე აჩვენებს:

„გუმისთის აქეთა ნაპირზე დგანან ჩვენი ჯარები. გუმისთის იქით სეპარატისტები. გუმისთის იქით 30 კილომეტრი ახალ ათონთანაა, იქ მოწინააღმდეგე უნდა დადგეს, აქეთ, ჩვენ მხარეს, მაჭარკის ხიდზე უნდა დადგნენ ჩვენები!“ რატომღაც ასეთი გეგმის შესრულებას არავინ მიადევნა მერე თვალყური, მოწინააღმდეგე მხარემ არ შეასრულა გადაწყვეტილება. ამის შესახებ რუსებმა რასაკვირველია თვალები დახუჭეს, მაგრამ არც გაეროს წარმომადგენლებს ამოუღიათ ხმა. რაც შეეხება ქართულ მხარეს, არავინ იცის ვინ შეუშალა ხელი ასეთ გეგმას, რატომ არ განხორციელდა იგი.

მძიმე ტექნიკა ფოთში გადაიტანეს, რისი გატანაც ვერ მოასწრეს, „მშობლიური“ ნაწილები ამოაცალეს. არ ვიცი ტიპიური ქართული დაუდევრობა იყო თუ დანაშაულებრივი მიზანდასახულობა, ჯაბა იოსელიანი მუდმივად (როგორც გაგრის დროს) ითხოვდა სიმაღლეების გაკონტროლებას ჩვენების მხრიდან. ასეთივე დაჟინებული მოთხოვნა ჰქონდა ოჩამჩირეშიც და სოხუმშიც.

პირველ სექტემბერს სოხუმში სწავლა იწყება. იოსელიანი ისევ კატეგორიული წინააღმდეგია ასეთი გადაწყვეტილების, მაგრამ შევარდნაძე და სხვები არ იზიარებენ მის წინააღმდეგობას, რაღაც მორალურ მხარეებზე საუბრობენ.

სამტრედიასთან პოზიციებზევე ინფორმაციას ვიგებთ, რომ შრომა აღებულია, კამანში ადგილობრივი სვანი მეომრები უთანასწორო ბრძოლაში დაეცნენ, კამანში დახვრიტეს ადგილობრივი მღვდელი; ნახევრად აღებულია სოფელი თავისუფლება. აჩადარის ხიდამდე არიან შემოჭრილები, სოხუმელები თითქმის შიშველი ხელებით იცავენ საკუთარ და მთელი საქართველოს სიამაყეს – სოხუმს.

იოსელიანი „მხედრიონის“ გარკვეულ ნაწილს სამტრედიაში ტოვებს, რომ ზვიადისტები ქუთაისისკენ არ გაუშვან; გია ვაშაკიძეს მხედრიონელთა რაზმებთან და უშიშროების „სპეცრაზმელებთან“ ერთად ოჩამჩირეში აგზავნის. ჩვენ კი, სამტრედიის მისადგომებთან სანგრებიდან ამომძვრალი 200 მხედრიონელი ჯაბა იოსელიანთან ერთად სოხუმის დასაცავად ჩვეული შემართებით თვითმფრინავით გავფრინდით. ჩვენთან ერთადაა ორი მამაცი ჟურნალისტი, გოგა ჭყონია და მხედრიონელი საშკა იოსელიანი.

სოხუმში მოქალაქეებით სავსე აეროპორტში ტრაპიდან ჩამოსვლისას ჯაბა იოსელიანის დანახვაზე ხალხი ტაშს უკრავს. „ამათ არ ეღალატების, დავიხოცებით და სოხუმს. საცა ახლა საქართველოს მთავარი არტერია გადის, არ დავთმობთ“, – მტკიცედ ვეუბნები საკუთარ თავს. დარწმუნებული ვარ, თითოეული ჩვენთაგანი ამასვე ფიქრობს. იბომბება სოხუმი არტილერიით, გრადებით, ჰაუბიცებით. 120 მილიმეტრიანი ნაღმმტყორცნებით.

იოსელიანი აეროპორტიდანვე შტაბში მიდის მცირერიცხოვანი ბიჭების რაზმთან ერთად, ჩვენ კი „სკარპიონის“ შტაბში მივდივართ; ღამითვე გავდივარ ზღვაზე სანგრის ტალახისა და მტვრის მოსაცილებლად. საშკა იოსელიანი მომყვება, „ზვიგენებს დავაფრთხობ, ამ ბოლო დროს ძვლების ხრამუნი მონატრებიათო“, – მეხუმრება.

საშკა გაგრის ბრძოლებისას გავიცანი. უმუზარადო რაინდს ჰგავს, ნათელი თვალებით და მზერაში ჩადუღებული სიმამაცით. საშკამ ჩვენთან ერთად ჩაირბინა ტრაპი, გულზე მხედრიონელის მედალიონით, სიკვდილთან ქართული სიამაყით შესაგებებლად!

ტანსაცმლიანად შევდგაფუნდი წყალში; „სხვა საქართველოსად არის“, – მესმის საშკას ღიღინი. სიბნელეს ხშირად აპობს ზალპის და გრუხუნის მოკაშკაშე ნათება. მოწინებით ვეპარები ზღვას, არ ვაღვიძებ მშფოთვარე დღეებით დაღლილს. თითქოს არც სუნთქავს ზღვა, ტალღაც კი არ მელამუნება მცირედად. ახლა უკვე ნაპირიდან ვხედავ, როგორ ანთხევს გამოღვიძებული ზღვა მასში ჩაღვრილ სისხლს ქაფად.

„სკარპიონის“ შტაბში დილამდე ვზივართ იატაკზე, ღამეს ვამოკლებთ და ალიონს ვიხმობთ ჩუმი საუბრით.

დაცვის რკალი ყველგან მოშლილია. რუსები, სეპარატისტები და კონფედერატები ყველგან არიან. – „ერთი დიდი პოზიცია დავიკავოთ, თუ სხვადასხვა პოზიციებზე გადავანაწილო ჩვენები“, – ეკითხები ჯაბა იოსელიანი ზაურ უჩაძეს შტაბში. „სჯობს გადაანაწილოთ, მხედრიონის მოსვლა ბიჭებს გაამხნევებს“, – ეუბნება უჩაძე. ჯაბა იოსელიანის დავალებით, ჩემი ორმოცკაციანი რაზმით გუმისთაზე გავდივარ. დათო გულუას გავყავართ. მეორე და მესამე ბატალიონის შუა შიშველ პოზიციას ვიკავებთ.

მედიცინა

საშვილოსნოს ანთების მკურნალობა

როგორ ვუმკურნალოთ ქალურ დაავადებებს

ქალის შინაგან სასქესო ორგანოებს მიეკუთვნება საკვერცხეები, საშვილოსნო, საშვილოსნოს მილები, საშო. ანთებითი პროცესები საშვილოსნოდან შეიძლება გავრცელდეს სხვა ორგანოებზედაც. საშვილოსნოს მწვავე ანთებითი პროცესის დროს მუცელი გაბერილი და დაჭიმულია, ტკივილია მუცელში, განსაკუთრებით ქვედა ნაწილში, ტემპერატურა იწევს, პულსი გახშირებულია, ზოგჯერ არის ღებინებაც, ტკივილია შარდვის დროს, შეფერხებულია კუჭში გასვლაც.

თუ მწვავე ანთება არ განიკურნა, გადადის ქრონიკულ ფორმაში. მკურნალობა უნდა ჩაატაროს ექიმმა. ხალხური მედიცინა კი შემდეგს გირჩევთ:

● იღებენ 1 სუფრის კოვზ ძახველის ყვავილს, ასხამენ 1 ჩაის ჭიქა მდუღარეს, ადუღებენ 10 წუთი. ღებულობენ 3 სუფრის კოვზს დღეში 3-ჯერ. იგი აქრობს საშვილოსნოს ანთებებს. მკურნალობის კურსი 2 კვირაა.

● ხალხურ მედიცინაში კოწახურის ნაყოფები გამოიყენება მაღალი არტერიული წნევის სამკურნალოდ, ფესვების ნახარში კი ქალის სასქესო ორგანოების დაავადებების სამკურნალოდ. უხდება სხვა შინაგან ორგანოებსაც.

● 1-2 სუფრის კოვზ კოწახურის დაქუცმაცებულ ფესვებს ასხამენ 0,5 ლიტრ მდუღარეს და ხარშავენ დაბალ ცეცხლზე 30 წუთის განმავლობაში.

მიღება: 1/2 ჩაის ჭიქა დღეში 3-ჯერ ჭამამდე 15 წუთით ადრე. მკურნალობის კურსი 2 კვირაა.

● ლიმონს ხეხავენ კანიანად და ურევენ შაქარს. ღებულობენ 1 ჩაის კოვზს დღეში 3-ჯერ. ასე შეიძლება ფორთოხლის მიღებაც.

ლიმონი და ფორთოხალი კარგი საშუალებაა ჰიპერტონიის საწყისი სტადიის, ქალის სასქესო ორგანოების დაავადებებისა და ფარისებრი ჯირკვლის სამკურნალოდ.

● 1 ვედრო წყალზე იღებენ 20 გრამ დაფნას, ადუღებენ 10 წუთი. ღებულობენ მჯდომარე აბაზანას საშვილოსნოსა და შარდის ბუშტის დაავადებების სამკურნალოდ.

საშვილოსნოს ყელის ეროზია

ეროზია – საშვილოსნოს ყელის ეპითელური ქსოვილის მთლიანობის დარღვევაა. ეს დაავადება დაკავშირებულია სასქესო ორგანოების ანთებით დაავადებებთან. ეროზია შეიძლება გაჩნდეს მშობიარობის ან აბორტის დროს.

● საშვილოსნოს ყელის ეროზიის დროს გამოიყენება ქაცვის ზეთი ტამპონების სახით. მკურნალობის კურსი 10-12 დღეა. ქაცვის ზეთში დასველებული ტამპონი კეთდება ძილის წინ.

● ამზადებენ ხსნარს. იღებენ 2,5 გრამ ნამდვილ მუმიეს და ასხამენ 100 მლ წყალს. ხსნიან კარგად და იკეთებენ ტამპონს ყოველღამე 10 დღის განმავლობაში.

● 2 სუფრის კოვზ გულყვითელას ყვავილს ასხამენ 2 ჭიქა მდუღარეს. ღებულობენ 1/2 ჩაის ჭიქას 3-4-ჯერ დღეში ჭამამდე.

● 1 ჩაის კოვზ ევკალიპტის ნაყენს ხსნიან 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალში. გამოიყენება გამორეცხვებისათვის.

საზოგადოება

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მე-12 სეზონი დაიწყო



ტელეკომპანია „იმედმა“ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მე-12 სეზონი დაიწყო. შოუში სხვადასხვა პროფესიაში ცნობილი და წარმატებული ქართველი და უცხოელი ვარსკვლავები მონაწილეობენ. მომღერლები ნუცა თოფურია და დათუნა მგელაძე, მოციგურავე მარიამ ჩიტაძე, ექიმი არსენ გვენეტაძე, მსახიობი თედო ბექაური, თურქი მსახიობი ემრე კიზილირმაკი, იტალიელი მომღერალი ჯაზმინ ქარიზი, პორტუგალიელი ლეონორ როტესი, ოპერის მომღერალი იანო ალიბეგაშვილი.

შოუს წამყვანები მანიკა ასათიანი, დუტა სხირტლაძე და ეკა ამირეჯიბი არიან. პირველი საკონკურსო შოუს ჟიურის წევრები კი – ტელეწამყვანი ირაკლი მაქაცარია, ჟურნალისტი სოფო შევარდნაძე და მოცეკვავე გოჩა ჩერტკოევი.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ ახალ სეზონში პროფესიონალი მოცეკვავეები და ცნობილი სახეები ასე დაწყვილდნენ: დათუნა მგელაძე და კარინა ლისენკო, ნუცა თოფურია და იაკობ ყუფუნია, არსენ გვენეტაძე და ნიცა ციბაძე, მარიამ ჩიტაძე და რატი გაჩეჩილაძე, თედო ბექაური და ანნა ბირთველიშვილი, ჯაზმინ ქარიზი და ირაკლი ძაძამია, ემრე კიზილირმაკი და ელენე დავითაია, ლეონორ როტესი და საბა დევდარიანი, იანო ალიბეგაშვილი და გუკა ჭანტურია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ყველაზე სექსუალურ მელოტ მამაკაცად პრინცი უილიამი აღიარეს



მსოფლიოს ყველაზე სექსუალური მელოტი მამაკაცების რეიტინგში პირველი ადგილი ბრიტანეთის პრინც უილიამს ერგო.

მარკეტინგული კომპანია რებოტის მიერ შედგენილ რეიტინგს საფუძვლად დაედო სოციალურ ქსელებში მელოტი ადამიანების ძებნის რაოდენობა, რომელსაც თან ახლავს სიტყვები „შიშველი“ ან „უპერანგოდ“. გარდა ამისა, ქულების რაოდენობაზე ისეთი მახასიათებლებიც მოქმედებდა, როგორებიცაა, სიმაღლე, გარეგნობა, ხმა, მდგომარეობა და სიმელოტის სიკაშკაშე. უპირატესობა ეძლეოდათ მამაკაცებს, რომელთა სახე ე.წ. ოქროს კვეთის მონაცემებს შეესაბამებოდა და ხმის ტემბრი კი 96 ჰერცს უახლოვდებოდა.

პრინცმა უილიამმა პირველ ადგილზე გასული წლის ლიდერი მსახიობი ვინ დიზელი ჩაანაცვლა. მათ გარდა, სექსუალურ მელოტ მამაკაცებად აღიარებული იქნენ მსახიობები ჯეისონ სტეტჰემი და სემუელ ჯექსონი, კალათბურთელი მაიკლ ჯორდანი, მილიარდერი ჯეფ ბეზოსი, ასევე მსახიობები დუეინ ჯონსონი და შემარ მური. ათეულის ბოლოში კი აღმოჩნდნენ კალათბურთელი შაკილ ო,ნილი და მსახიობი ტერი კრიუსი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბაიდენი 81 წლის გახდა

აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი 81 წლის გახდა. მან დაბადების დღე ვიწრო, ოჯახურ წრეში აღნიშნა.

ბაიდენის დაბადების დღე დაემთხვა ამერიკულ დღესასწაულს – მადლიერების დღეს. პრეზიდენტმა, ტრადიციისამებრ, ორი ინდაური შეინყალა.

აშშ უკრაინისადმი დახმარებას განაგრძობს



აშშ უკრაინისადმი დახმარებას განაგრძობს. ამის თაობაზე იუწყება „რბკ – უკრაინა“. აშშ-მ უკრაინას დახმარების 100-მილიარდიანი პაკეტი გამოუყო.

აღნიშნული თანხა, ძირითადად, უკრაინის თავდაცვისუნარიანობისა და უშიშროების გაძლიერებას მოხმარდება.

გერმანიის თავდაცვის მინისტრი კიევში ჩავიდა

გერმანიის თავდაცვის მინისტრი პისტორიუსი კიევში ჩავიდა. ამის თაობაზე იუწყება „დოიჩე ველე“.

პისტორიუსი შეხვდა პრეზიდენტ ზელენსკის. საუბარი მიეძღვნა რუსეთ-უკრაინის ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

სამზარეულოში ნაპოვნ შედევრს მუზეუმში გამოფენენ

მე-13 საუკუნის ფლორენციელი მხატვრის ჩიმაბუეს ნამუშევარს „ქრისტეს დაცინვა“, რომელიც 2019 წელს ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქ კომპიენში მცხოვრები ხანდაზმული ქალბატონის ბინაში იპოვეს, ლუვრში გამოფენენ.

სამზარეულოში გაზქურის თავზე ჩამოკიდებულ ნახატს ყურადღება დამწყებმა აუქციონერმა ფინომენა ბოლფმა მიაპყრო, რომელიც ქალის ნათესავებმა მიიწვიეს. ისინი ფიქრობდნენ, რომ ის ძველი ხატი იყო და მისი ღირებულება აინტერესებდათ. ვოლფი კი მიხვდა, რომ საქმე ფლორენციელი მხატვრის ჩიკმაბუეს შედევრთან ჰქონდა.

2019 წლის ოქტომბერში ნახატი უცნობ პირს 24 მილიონ ევროდ მიჰყიდეს. თუმცა, აუქციონის დასრულებისთანავე საფრანგეთის ხელისუფლებამ ეს გარიგება დაბლოკა, ხოლო 1280 წლით დათარიღებული ნაწარმოები ეროვნულ ღირებულებად იქნა დასახელებული. ოთხი წლის მანძილზე ხელისუფლება ფულს აგროვებდა ნახატის გამოსასყიდად და ახლა ის მსოფლიოს ყველაზე ცნობილ მუზეუმში იქნება გამოფენილი.

საფრანგეთის კულტურის მინისტრმა რიმა აბდულ-მალაკმა და ლუვრის მუზეუმის დირექტორმა ლოურენს დეკარმა გამოაცხადეს, რომ ჩიმაბუეს შედევრი „ქრისტეს დაცინვა“ მუზეუმის კოლექციის ნაწილად იქცა.

– ეს შენაძენი ლუვრის მუზეუმის ძალისხმევის შედეგს წარმოადგენს. ის საშუალებას იძლევა, საფრანგეთს შევუნარჩუნოთ ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც მსოფლიოს უდიდეს მუზეუმებს შურს აღუძრავს და ამავე დროს ის ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება, – ნათქვამია მათ ერთობლივ განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტებისთვის ჩიმაბუეს დღემდე შემონახული მხოლოდ 15 ნამუშევარია ცნობილი. „ქრისტეს დაცინვა“ ფლორენციელი ოსტატის კიდევ ერთი ნაწარმოების „მაესტას“ გვერდით დაიდებს ბინას. ლუვრის დამთვალიერებლები კი მის ხილვას 2025 წლის გაზაფხულზე შეძლებენ.



ზოოპარკის ბინადარმა ზვიგენმა ნაშიერი მამრის გარეშე გააჩინა

აშშ-ის ზოოპარკის ბინადარმა მდედრმა ზვიგენმა მამრი თანამოძმის გარეშე გააჩინა ნაშიერი.

ილინოისის შტატის ქალაქ ბრუკფილდის ზოოპარკის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი აკვარიუმის ბინადარმა კატისებურმა ზვიგენმა ნაშიერი დაბადა მიუხედავად იმისა, რომ მას ოთხი წელი მამრთან ურთიერთობა არ ჰქონია.

„უმწიკვლო ჩასახვა“ 24 აგვისტოს მამრის გარეშე და ხუთთვიანი ინკუბაციის შედეგად მოხდა. ეს ამ სახეობისთვის ტყვეობაში შთამომავლის გაჩენის მეორე შემთხვევაა. ზოოპარკის თანამშრომლები ახალშობილს რამდენიმე თვის განმავლობაში არ უჩვენებდნენ დამთვალიერებლებს, თუმცა, სულ მალე მათ პატარა 14 სანტიმეტრიანი ზვიგენის ნახვის საშუალება მიეცემათ.

პატარა ზვიგენი ქვეყანას პართენოგენეზი ფორმით მოევლინა. ეს არის გამრავლების ფორმა, რომლის დროსაც მოზრდილის ორგანიზმში მდედრის სასქესო უჯრედები თავისთავად, განაყოფიერების გარეშე ვითარდება. ეს ფენომენი შედარებით ხშირად გვხვდება ტყვეობაში მყოფ ზვიგენებში, ფრინველებში, ხვლიკებსა და გველებში.

მამაკაცი მუსიკის სიძულვილის წყალობით გამდიდრდა

აშშ-ის მკვიდრმა ლატარიაში 100 ათასი დოლარი მუსიკის ერთ-ერთი ჟანრის სიძულვილის წყალობით მოიგო.

ასეთი იღბლიანი მერილენდის შტატის მცხოვრები კენეტ მეთიუ აღმოჩნდა. მისი თქმით. ის ლატარიის ბილეთებს რეგულარულად ყიდულობს მისი სახლის ახლოს მდებარე ავტოგასამართი სადგურის მაღაზიაში, რომელიც ქალაქ კეპიტალ-ჰაიტსში მდებარეობს. ის იქ ყოველთვის ეკამათება დაწესებულების თამაშრომელს, რომელიც მუდმივად გოუ-გოუს სტილის სიმღერებს უსმენს.

ერთხელაც მეთიუ ავტოგასამართი სადგურის თანამშრომელთან 30-დოლარიანი ადგილობრივი მომენტალური ლატარიის ბილეთის შეძენაზე მსჯელობდა. ამ დროს, მამაკაცმა, რომელიც ყოველთვის მისთვის საძულველ მუსიკას რთავდა, უთხრა, რომ მუსიკას გამორთავდა, თუ ის იმ ლატარიის ბილეთს იყიდდა. მეთიუ დაეთანხმა და ბილეთი შეიძინა.

როდესაც მან ლატარიის ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა, თავიდან იფიქრა, რომ ათასი დოლარი მოიგო. მან ის მეგობარ ქალს აჩვენა, რომელმაც შენიშნა, რომ მისი მოგება გაცილებით დიდი იყო.

– მან მითხრა: „იცი, შენი მოგება ბევრად უფრო მეტია“, – იხსენებს მეთიუ და იქვე დაამატა, რომ მოგებულ თანხას ქალიშვილის კოლეჯში სწავლას მოახმარს.



უიშვიათესი ვისკის ბოთლი რეკორდულ ფასად გაიყიდა

დიდ ბრიტანეთში უიშვიათესი Macallan-ის ვისკი რეკორდულ ფასად 2,1 მილიონ ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.

შოტლანდიური ვისკი ლონდონში სოტბის აუქციონზე გაიყიდა. ექსპერტები მას 750 ათასიდან 1,2 მილიონ ფუნტამდე აფასებდნენ, თუმცა, ვაჭრობის საბოლოო შედეგმა მოსალოდნელს თითქმის ორჯერ გადააჭარბა. ალკოჰოლური სასმელი 1926 წელს იქნა დამზადებული და 60 წელი მუხის კასრში ძველდებოდა. 1986 წელს ის 40 ბოთლში ჩამოასხეს.

გაყიდულ ვისკის, მისი სიძველის გარდა, განსაკუთრებული ღირებულება მისმა ეტიკეტმაც შესძინა, რომელიც იტალიელმა მხატვრმა ვალერიო ადამმა 1993 წელს შექმნა. მან სულ 12 ეტიკეტი დაამზადა Macallan-ის ვისკისთვის. ამ ლოტმა კი ვისკის ფასის ახალი რეკორდი დაამყარა. წინა მიღწევა 2019 წელს დამყარდა. მაშინ ვისკის ბოთლი ამავე პარტიიდან 1,5 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

დიდი 10-ის მოულოდნელობები

გაიმართა დიდი 10-ის მორიგი ტური და ისეთი შედეგები დაფიქსირდა, რომ სატურნირო ცხრილში ბევრი რამ შეიცვალა.

ყოჩები-ყაზბეგი 17:36

სტეფანწმინდის ყაზბეგმა მიმდინარე გათამაშების ლიდერ ბოლნისის ყოჩებთან საუკეთესო თამაში ჩაატარა, 36:17 გაიმარჯვა და მოწინავე ექვსეულში დაბრუნდა.

მატჩი „რაგბი პლატოზე“ გაიმართა და ორმხრივი შეტევებით დაიწყო. ყოჩებს დებიუტში ჯარიმა და არეკნი გაუცუდდა. სამაგიეროდ, 21-ე წუთზე მეტოქემ იხეირა – დავით მოძღვრიშვილის ჯარიმა ზუსტი იყო, სამიოდე წუთში კი მანვე არეკნი გაიტანა. 32-ე წუთზე სტუმართა მოლს გელა მახარაშვილის ლელო მოყვა, ზედ შესვენების წინ კი მოძღვრიშვილმა ხაზი გაჭრა, ლუკა ჩქარეულმა იერიში გააგრძელა და მისი ოფლოუდი გიორგი ნათელაშვილის ლელოთი დასრულდა. მოძღვრიშვილმა პირველი გარდასახვა გამოიყენა – 0:18.

მეორე ტაიმის დასაწყისში ყაზბეგმა თავი კიდევ ერთხელ დაიცვა. მერე მასპინძელთა ბურჯი იროდიონ ქუცნიაშვილი სინბინით დაისაჯა, გიორგი ნათელაშვილი ფეხით შეცურებულ ბურთს შეყვა და ლელო გაიტანა, მოძღვრიშვილმა გარდასახა; 51-ე წუთზე ყოჩებმა 5-მეტრიანი დერეფნიდან კარგი კომბინაცია გაითამაშა და ლაშა საჯაიამ ერთი საპასუხო ლელო გაიტანა, მაგრამ ყაზბეგმა მოლითა და მახარაშვილის დუბლით მალევე უპასუხა, რითაც 25-ქულიანი უპირატესობა აღადგინა.

მერე გელა მახარაშვილი სინბინით დაისაჯა, მასპინძლებმა რიცხობრივი უპირატესობით ისარგებლეს და ნიკოლოზ რეხვიაშვილმა ლელო გაიტანა. ამას მოძღვრიშვილმა ჯარიმით უპასუხა. 67-ე წუთზე საჯაიამ მოლის შემდეგ ლელო დადო და ლაშა მალაღურაძემაც გარდასახა. მოძღვრიშვილმა ორ წუთში კიდევ ჯარიმით უპასუხა, დარჩენილ 10 წუთში ანგარიში აღარ შეცვლილა და ყაზბეგმა 36:17 იმარჯვა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ყაზბეგის კვაჭი გელა მახარაშვილი გახდა. ამ წაგებამ ყოჩებს პირველი ადგილი დააკარგვინა.

ახესი-ახნოვები 47:46

ტურის ყველაზე უხვქულიან და უხეშ მატჩში ქუთაისის არესმა უშუალო კონკურენტ ოზურგეთის არწივებს 47:46 მოუგო და უმნიშვნელოვანესი 4 ქულა მოიპოვა.

„აია არენაზე“ გამართულ შეხვედრაში გუნდებმა 7-7 ლელო გაიტანეს. თამაში უხეშიც გამოდგა და მთავარ მსაჯ ნიკა ამაშუკელს 5-ჯერ მოუწია ყვითელი ბარათის გამოყენება. აქედან 4-ჯერ მასპინძლები დაისაჯნენ, მაგრამ მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება ბოლომდე შეძლეს. არწივების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მასპინძლების ყველა ლელოს მოკლე დროში უპასუხა და გამარჯვების შანსს ბოლო წუთამდე ინარჩუნებდა.

მთლიანობაში მაყურებელმა თვალსაჩინო შეხვედრა და არაერთი ლამაზი ლელო იხილა. არესმა მეტოქის საწყისი მიძალებები მოიგერია, მერე ფორვარდებით შეუტია და ზაალ ცქიფურიშვილმა ანგარიში გახსნა, გიორგი თევდორაძემ კი გარდასახა. განახლდა თუ არა თამაში, არწივებმა კარგი შეტევა განახორციელა და ივანე გელაშვილმა ლელო გაქვითა, ხოლო მარვინ ფრედერიქსმა გარდასახვით წონასწორობა აღადგინა. ამავე ეპიზოდში ყვითელი ბარათით ნიკა ძნელაძე დაისაჯა.

შეხვედრა ორმხრივ შეტევებში გაგრძელდა და მე-17 წუთზე კაცნაკლული არესი დაწინაურდა. ნგლენ თაკაუტინმა ცენტრის სიახლოვეს გაჭრა ხაზი, ბოლო მცველი ცრუმოძრაობით, სისწრაფეში ჩამოიტოვა და 55-მეტრიანი გარღვევა ლამაზი ლელოთი დაასრულა. ოზურგეთელებმა იქვე უპასუხეს, ფეხით შეცურებულ ბურთს ჯაბულანი მკულვანი მიყვა და ლელოში დაამიწა, მაგრამ თევდორაძისგან განსხვავებით, ფრედერიქისის გარდასახვა არაზუსტი იყო. ქუთაისელებმა ყვითელი ბარათით ამჯერად ზურა ოდიკაძე დაკარგეს და მომდევნო 10 წუთით კვლავ კაცნაკლული დარჩნენ.

26-ე წუთზე კაცნაკლულმა მასპინძლებმა კიდევ ერთხელ შეძლეს უპირატესობის მოპოვება. ამჯერად გადაცემა ლაშა ძნელაძემ ჩაჭრა და ლელოში რატუ პენი ტუმბუნას გაატანა. თევდორაძემ გარდასახა. პასუხად კონსტანტინე გაზაშვილმა გაიბრწყინა, რამდენიმე მცველთან ჭიდილში დაახლოებით 10 მეტრი დაფარა და ძალისმიერი ლელო გაიტანა. ფრედერიქსმა გარდასახვით სხვაობა 2 ქულამდე დაიყვანა. მალე ყვითელი ბარათი გაზაშვილმა მიიღო, არესმა 3 ქულის აღებას ლელოზე თამაში არჩია და მოლი ზაალ ცქიფურიშვილის ლელოთი დასრულდა. თევდორაძემ ეს გარდასახვაც ზუსტად შეასრულა.

ტაიმის მიწურულს არესმა 10-10 წუთით იაგო ხილაძე და გუგა მარგველაშვილი დაკარგა, არწივებმა აღარ გარისკა, ფრედერიქსმა ჯარიმა გაიტანა და ტაიმი 28:22 დასრულდა.

13 კაცით მოთამაშე არესმა მეორე ტაიმის დასაწყისში მოლი დააყენა და ლაშა ძნელაძემ ლელო, თევდორაძემ კი, გარდასახვა გაიტანა. თამაში რომ განახლდა მარჯვენა ფრთაზე საკიუსა მბასეისი გაიჭრა და მეტოქის 22-ში შევიდა, მერე ბურთი მარცხნივ ჩათამაშდა და ჯაბული მკულვანმა ლელო გაიტანა. 51-ე წუთზე ლელო გიგი გიგინეიშვილმაც მიითვალა და არწივებს გარდასახვები რომ გაეტანა მატჩში, პირველად დაწინაურდებოდა, ასე კი სხვაობა მხოლოდ 3 ქულამდე დავიდა.

ტაიმის შუაში მასპინძლებმა დერეფნიდან კარგი კომბინაცია გაითა-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ვილი სანიოლი: საქართველოში მუშაობის შემდეგ, ბევრი ვარიანტი მაქვს



საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვილი სანიოლი ფრანგულ მედიას ესაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოში მუშაობა ევროპის ჩემპიონატში გასვლაზე დამოკიდებული არ არის. ფრანგ სპეციალისტს საქართველოში კონტრაქტი 2024 წლის ბოლოს უმთავრდება, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, თუნდაც ევროპირველობაზე გასვლის შემთხვევაში, დარჩება თუ არა ჩვენთან სამუშაოდ.

ვილი სანიოლი:

–საქართველოს ნაკრებში ჩემი გაწეული სამუშაოს წარმატებულად თუ წარუმატებლად შეფასება ევროზე მოხვედრა-ვერმოხვედრაზე არ არის დამოკიდებული. ჩემი წარმატება იქნება ის, რომ ევრო 2024-ზე მოვხვდეთ. როდესაც ფლეი ოფში ხვდები, რა თქმა უნდა, კვალიფიკაციის გავლის სურვილიც გიჩნდება, რადგან ამ მიზნისთვის სამი წელი ვმუშაობდი.

ვერ ვიტყვი, რომ საქართველოსთვის ჩრდილოეთ მაკედონია მისაბაძია, მაგრამ სამაგალითოა, როგორც პატარა ქვეყანა, რომელიც დიდ ტურნირზე მოხვდა. მაკედონიამ ევროზე კი ითამაშა, მაგრამ ერთა ლიგაში ორივე თამაში მოვუგეთ. ეს კიდევ ერთი მიზეზი გახდა იმისთვის, რომ გვეთქვა – თუკი მათ მოიპოვეს საგზური, ჩვენც შეგვიძლია იმავეს გაკეთება.

არ არის გამორიცხული, ფლეი ოფში წაგების, ან ისტორიული მიღწევის შემთხვევაში, მუშაობის გაგრძელება რთული აღმოჩნდეს. ეს დიდ ენერგიასა და მოტივაციას მოითხოვს. უბრალოდ, რაღაც მომენტში შეიძლება ვილაც სხვა იყოს საჭირო, განსხვავებული ხედვებით, რომელიც იმპულსის მომცემი იქნება. ფეხბურთში ეს ჩვეულებრივი ამბავია.

როდესაც საქმეები კარგად მიდის, ბევრი ვარიანტი ჩნდება. დღეს გაცილებით მეტი შეთავაზება მაქვს, ვიდრე 3-4 წლის წინ. ეს მაძლევს საშუალებას, ახალ პროექტებზე ვიფიქრო. ოღონდ, ჯერ არ ვიცი, ეს კლუბი იქნება, თუ ნაკრები.

საქართველოში ჩემი საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ თამაშის წინა 2-3-კვირიანი სამზადისით. სამუშაო გაცილებით გლობალურია. დიდ დროს ვატარებ ადგილობრივი ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად, დავდივარ ადგილობივი ჩემპიონატის მატჩების სანახავად, მეტწილად ბათუმში. აქაური ფედერაციის ფინანსური შესაძლებლობები განსხვავებულია იგივე საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის რესურსისგან.

შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრები ევრო 2024-ის საგზურისთვის ერთა ლიგის ფლეი ოფის ნახევარფინალში 2024 წლის 21 მარტს, „დინამო არენაზე" ლუქსემბურგს უმასპინძლებს. გამარჯვებული კი, 26 მარტს, საბერძნეთი-ყაზახეთის წყვილში უმჯობესს დაუპირისპირდება.

ხვიჩა კვარაცხელია ერთა ლიგის ნახევარფინალს გამოტოვებს

2024 წლის 21 მარტს საქართველოს ნაკრები ერთა ლიგის ფლეი ოფის ნახევარფინალში ლუქსემბურგის ნაკრებს უმასპინძლებს. ეს ყველაფერი შესარჩევი ეტაპის ბოლო ტურის შემდეგ გაირკვა.

ჩვენს წყვილში გამარჯვებული, საბერძნეთსა და ყაზახეთს შორის უმჯობესს შეხვდება და ევროპის ჩემპიონატის მონაწილეც გაირკვევა.

თუმცა, ვილი სანიოლის გუნდი ერთა ლიგის ნახევარფინალს ხვიჩა კვარაცხელიას გარეშე ჩაატარებს.

ვალიადოლიდში, ესპანეთის ნაკრებთან საკვალიფიკაციო რაუნდში მიღებული მესამე ყვითელი ბარათის გამო, საქართველოს ეროვნული გუნდის ფეხბურთელი ხვიჩა კვარაცხელია ევროპის ჩემპიონატის ფლეი ოფის ნახევარფინალურ მატჩს გამოტოვებს.

სანიოლის გუნდს შანსი ჰქონდა ევროპირველობაზე მოხვედრილიყო, მაგრამ ახლა შეუმცირდა. ამ საკითხს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით, მანამდე კი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური (სფფ) მდივნის, დავით მუჯირის კომენტარი.

დავით მუჯირი:

– როგორც მოგეხსენებათ, 2024 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად დარჩენილი ბოლო 3 საგზურიდან ერთ-ერთის მოსაპოვებლად მარტში საქართველო იბრძოლებს.

21 და 26 მარტს გველის საკვალიფიკაციო ეტაპის ფლეი ოფის შეხვედრები და როგორც ვიცით დანამდვილებით, 21 მარტს, თბილისში, ვუმასპინძლებთ ან ლუქსემბურგს, ან აზერბაიჯანის ნაკრებს და ფინალური შეხვედრა კი 26 მარტს გველის.

23 ნოემბერს გასამართ წილისყრაზე გაირკვევა, თუ რომელი ნახევარფინალის გამარჯვებული იქნება მასპინძელი ფინალურ შეხვედრაში და უნდა ვისურვოთ, რომ ფინალის მასპინძელი ჩვენი ნახევარფინალური წყვილის გამარჯვებული იყოს, რადგან ჩვენი გუნდი უფრო ძლიერია იმ გულშემატკივართან ერთად, რომელიც დინამო არენას ტრიბუნებიდან ამხნევებს.

სამწუხარო რეალობა გვაქვს, რომ ნახევარფინალურ მატჩში ხვიჩა კვარაცხელია ვერ დაგვეხმარება, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს გუნდს ნებისმიერ შემთხვევაში აქვს იმის რესურსი, ნახევარფინალში გაიმარჯვოს, ევროპის ჩემპიონატის ფლეი ოფის ფინალში ითამაშოს და გადამწყვეტ მატჩში უკვე ხვიჩასთან ერთად შევძლოთ იმ ოცნების ახდენა, რასაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაში ჰქვია.

ეს იყო ფედერაციის მოკლე და მშრალი განცხადება. ვინ აგებს პასუხს, ამაზე დუმილს ამჯობინებენ...

შენგელიას ვერ აჩერებენ

შეუჩერებელი

იტალიის სერია ა-ს ვებ გვერდზე თორნიკე შენგელიას ფოტოა, წარწერით – შეუჩერებელი. შენგელიამ ბოლო დროს მაგრად აკრიფა და მართლაც შეუჩერებელია: ბოლონიელთა ქართველი ფორვარდი ფორმაშია და 2 თვეა, მვპ-ის ტიტულს თითქმის არავის უთმობს. თოკო ოქტომბრის თვის საუკეთესო მოთამაშე როგორც იტალიის ჩემპიონატში, ისე ევროლიგაში გახდა. დიდი ალბათობით, ჩვენებური იმავეს გამეორებას ნოემბერშიც აპირებს.

სერია ა-ს მორიგ მატჩში ვირტუსმა ბრეშას უმასპინძლა და 88:76 დაამარცხა. ამ გამარჯვებაში კი, შენგელიას დამსახურება ძალიან დიდია. თორნიკემ 26 წუთში 26 ქულა, 7 პასი, 6 მოხსნა და 3 დაფარება მიითვალა. შესანიშნავი ჰქონდა სროლის პროცენტული მაჩვენებელიც: 11-დან 7 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი და 11-დან 9 საჯარიმო ჩააგდო. მისმა სარგებლიანობის ინდექსმა 35-ს უწია და მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა.

არადა, ბრეშას მცველმა, სი ჯეი მასინბერგმა 27 ქულა ჩააგდო, მაგრამ სარგებლიანობით თოკოს 4 ერთეულით ჩამორჩა.

8 ტურის შემდეგ მოპოვებული 7 გამარჯვებით ვირტუსი ლიგა ა-ს სატურნირო ცხრილის სათავეშია. მომდევნო მატჩს კი, იტალიური გუნდი ევროლიგაში გამართავს – 23 ნოემბერს თურქულ ფენერბაჰჩეს უმასპინძლებს.

დიდი 10-ის მოულოდნელობები

დასაწყისი მე-6 გვერდზე

მაშეს და თაკაუტინმა დუბლი შეასრულა. 69-ე წუთზე ფრედერიქსის გრძელი გადაცემისა და გაზაშვილის კარგი თამაშის შემდეგ, მბასეისეიმ ლელო გაიტანა და ფრედერიქსმა გარდასახვით სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა. არესმა გამარჯვებისკენ მორიგი ნაბიჯი 74-ე წუთზე გადადგა, როდესაც ნაცად ხერხს მიმართა და მოლი გოგა კობახიძის ლელოთი დასრულდა, ბონდო აბაშიძემ კი გარდასახა.

არწივები არც ახლა დანებდა, 78-ე წუთზე გაზაშვილმა კიდევ ერთხელ შეუტია, ამას ოფლოუდების სერია და ჯამბა ულენგოს ლელო მოყვა, ფრედერიქსმა კი იქვე გარდასახა – 47:46. სტუმრებს მოსაგებად ერთი შედეგიანი შეტევა სჭირდებოდათ, მაგრამ თავად დაჯარიმდნენ. აბაშიძის დარტყმა კი მიზანს ასცდა, თუმცა, მასპინძლებმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს.

არწივები ნუგეშის ქულას დასჯერდა და ჯამში 6-ით ბოლოსწინა მე-9 ადგილზეა.

აია-ხვამლი 33:20

ქუთაისის აიამ კაცნაკლულად მოთამაშე ხვამლი მატჩის მინურულს გატეხა, დაძაბულ მატჩში ბონუს-ქულით – 33:20 დაამარცხა და ლიდერთა შორის პოზიციები გაიმყარა.

თამაში ხელოვნურსაფარიან მოედანზე, წვიმის ფონზე დაიწყო. საწყის წუთებში მასპინძლები სათამაშო უპირატესობას დაეუფლნენ. ისინი მოლში დომინირებდნენ და საბა ხონელიძემ მე-5 წუთზე თავისი და გუნდის პირველი ლელო გაიტანა.

მე-9 წუთზე მასპინძელთა მოლმა დაახლოებით 18 მეტრი იარა, რასაც ფორვარდების დარტყმები და რუსლან გიგაშვილის ლელო მოჰყვა. გიორგი ბაბუნაშვილმა ორივე გარდასახა. სტუმართა მდგომარეობა მე-15 წუთზე ლისალა ნასეგეს მაღალი ბოჭვისთვის გაძევებით (წითელი ბარათი) კიდევ უფრო დამძიმდა, მაგრამ შეძლეს თამაშის გათანაბრება, მერე უპირატესობის მოპოვება, რასაც ჯერ ილია გაბისონიას სინიბინი და 30-ე წუთზე თორნიკე აქუბარდიას ძალისმიერი ლელო მოყვა. ნიკა ცინცაძემ გარდასახა და ტაიმი 14:7 დასრულდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში დაძაბულობამ პიკს უწია და მოედანზე გუნდური გაწევ-გამოწევა გაჩაღდა. შედეგად, 55-ე წუთზე ლუკა გელაშვილმა ყვითელი ბარათი მიიღო და ხვამლი 13 კაცის ამარა დარჩა. მიუხედავად ამისა, თბილისელებმა ორიოდე წუთში შეძლეს შედეგიანი შეტევის ორგანიზება და ზურა ქობელაშვილმა ჯარიმით ჩამორჩენა შეამცირა.

დასკვნით მეოთხედში მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულმა საბა ხონელიძემ აიწყვიტა. ის ჯერ ნიკა ღლონტის ფეხით შეცურებულ ბურთს შეჰყვა, რომელიც მცველებმა ვერ დაიმორჩილეს და ლელო გაიტანა, 72-ე წუთზე კი გიორგი ფრუიძის მიერ საკუთარი 22-დან დაწყებულ ხელდახელ შეტევას მიყვა და თავისი მესამე ლელო გაიტანა. ბაბუნაშვილმა გარდასახა – 26:13.

ხვამლმა გაიბრძოლა. ნიკა ღლონტის სინბინის შემდეგ საბა კურტანიძემ ლელო გაიტანა, ნიკა ცინცაძემ გარდასახა და სხვაობა 6 ქულამდე დავიდა.. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში გიორგი ფრუიძის გამოცდილებამ იჩინა თავი – აიას მე-5 ლელო გაიტანა და გუნდს პრემიალური ქულაც დაუბრუნა – 33:20.

ბათუმი-ხარები 10:0

ბათუმმა ტურის ცენტრალურ მატჩში ჩემპიონ რუსთავის ხარებს თითო ტაიმში თითო ლელო გაუტანა 10:0 და დაამარცხა.

თამაში ორმხრივი შეტევებით დაიწყო, თუმცა, დაცვაში ორივე გუნდი კარგად ირჯებოდა. ანგარიში მე-17 წუთზე გაიხსნა. მარცხენა ფრთაზე ლაშა ფოფხაძე გაიქცა, იერიში მარჯვენა ფრთაზე გაგრძელდა და ვიტალი ირემაძის ლელოთი დასრულდა – 5:0.

შესვენებამდე ორივე გუნდს ჰქონდა ჯარიმით ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა, ორივემ ლელოზე არჩია თამაში და უქულოდ დარჩა.

მეორე ტაიმში სტუმრებმა სათამაშო უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ ეს ქულებში ვერ ასახეს. თავის მხრივ, მამუკა ნინიძემ ორი ჯარიმა გააცუდა, თუმცა 67-ე წუთზე, ვიტალი ირემაძის კარგ თამაშსა და გარღვევას მისივე ლელო მოყვა. დარჩენილმა დრომ ორმხრივ ბრძოლაში, მაგრამ უქულოდ ჩაიარა და ბათუმმა 10:0 მოიგო. ზღვისპირელებმა „სარბიელის სინიც" შეინარჩუნეს.

ლელო-აკადემია 93:0

დედაქალაქურ დერბიში, ლელომ აკადემიას 15 უპასუხო ლელო გაუტანა და 93:0 დაამარცხა.

გამარჯვებულთაგან ლელოები არჩილ აბესაძემ, ვაჟა მიქაძემ (3), საბა არჩვაძემ, ნიკა სვიმონიშვილმა, ბექა ყორიაულმა, სანდრო ქოიავამ, გიორგი შამათავამ, ლუკა სახელაშვილმა, ჯაბა სიხარულიძემ, სანდრო დარძულიძემ (2), გიორგი ჩიქოვანმა და რატი ბერაიამ გაიტანეს. 9-იდან 8 გარდასახვა ირაკლი ყიასაშვილმა, ხოლო ერთი მატჩის საუკეთესო მოთამაშემ ვაჟა მიქაძემ შეასრულა.

აკადემია 0 ქულით ბოლო ადგილზეა.

სატუნირო ცხრილი:

1. ლელო	8	7	0	1	259-139	30
2. ყოჩები	8	6	0	2	207-128	27
3. აია	8	5	0	3	252-157	26
4. ბათუმი	8	5	0	3	212-108	25
5. ყაზბეგი	8	4	0	4	226-171	20
6. არესი	8	4	0	4	229-200	19
7. ხვამლი	8	4	0	4	249-153	19
8. ხარები	8	4	0	4	195-152	18
9. არწივები	8	1	0	7	209-298	6
10. აკადემია	8	0	0	8	45-569	0

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. უხასიათობა, ცუდი გუნება-განწყობა; 2. ხარისხის აღმნიშვნელი დამღა ოქროს, ვერცხლის ნაკეთობებზე; 3. სვანური ციხე-კოშკი; 4. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 7. უოლტ დისნეის სრულმეტრაჟიანი მულტფილმი; 9. მოცარული დარტყმა ბილიარდში; 12. ქალაქი საფრანგეთში, სადაც განთავსებულია ევროპარლამენტის შტაბბინა; 14. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 15. პირი სამეფო კარზე, რომელიც პირველი სინჯავდა მეფისთვის განკუთვნილ საჭმელს ძველად საქართველოში; 17. სამხაზველო ხელსაწყო; 20. ნიდერლანდიური ყველი.

თარაზულად: 5. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 6. ფრანგი სოციოლოგი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 8. ოდესის ძველი სახელწოდება; 10. მავნებლური ძირგამომთხრელი მოქმედება რაიმე საქმეში; 11. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 13. სამწახნაგოვანი პირის მქონე მოკლე იტალიური ხანჯალი; 16. ქუჩაში მოწყობილი სახანძრო ონკანი წყლის ასაღებად; 18. ქვებზე, ხეებზე მზარდი უფესვო, სპოროვანი მცენარე; 19. კუთხე საქართველოში; 21. თავისავე ქონში ჩახრაკული საქონლის გულ-ღვიძლისგან მომზადებული კერძი; 22. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 23. მეღვინეობის სპეციალისტი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მაკრონი; 2. სალაპი; 3. კარამელი; 4. სინკლიტი; 7. ბანდერასი; 8. ვატერლოო; 12. ტაშკენტი; 14. ასათიანი; 16. კალანდა; 17. ითხვისი; 19. ზებუ; 20. არია.

თარაზულად: 5. საქსონია; 6. ტრაიდენტი; 9. ხორავა; 10. ჰამამი; 11. იტილი; 13. ფარსი; 15. ასკანა; 18. რანჩო; 21. რაიკონენი; 22. ნეკრესი; 23. ყუმბარა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მოწამეთა; 2. გაგრა; 3. ლაშარელა; 4. კიტონი; 7. ხლოტი; 9. ფრაჟე; 12. ონომასტიკა; 14. ჯულეპი; 15. აგევზია; 17. კასტელი; 20. კომლი.

თარაზულად: 5. სოლალაკი; 6. ათანელი; 8. ფერხული; 10. ესტაფეტა; 11. მთვარე; 13. სტალინო; 16. რედიკული; 18. კაკაო; 19. ფერმი; 21. პომპეი; 22. დიასტოლა; 23. პოპლიკა.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ბელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

22 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7037

ევრო — 2.9603

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3929

100 რუსული რუბლი — 3.0723

ამინდის პროგნოზი 22 ნოემბრისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვიჩა კვარაცხელია ლუქსემბურგთან შეხვედრას გამოტოვებს

საქართველოს ნაკრების ლიდერი ხვიჩა კვარაცხელია თავის გუნდს ერთა ლიგის ნახევარფინალში ლუქსემბურგის წინააღმდეგ ვერ დაეხმარება, რადგან მას 3 ყვითელი ბარათი დაუგროვდა და ეს იმას ნიშნავს, რომ ხვიჩა ძალიან მნიშვნელოვან შეხვედრას გამოტოვებს.

აღსანიშნავია, რომ იგივე საფრთხის წინაშე იყვნენ ჩაკვეტაძე და გოჩოლეიშვილიც, მაგრამ მათ ესპანეთთან ყვითელი ბარათი არ მიუღიათ. ლუქსემბურგთან მატჩი მარტში გაიმართება და ნაკრებს მოუწევს თავისი ლიდერის გარეშე თამაში.

ტერ შტეგენის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა

ბარსელონას მეკარემ მარკ ანდრე ტერ შტეგენმა ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და ვარაუდობდნენ, რომ მას შეეძლო რამდენიმე შეხვედრა გამოეტოვებინა, მაგრამ ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და გერმანელმა მეკარემ განაახლა სრული დატვირთვით ვარჯიში.

შემდეგ მატჩს ბარსელონა 25 ნოემბერს გამართავს სტუმრად რაიო ვალეკანოს წინააღმდეგ და ტერ შტეგენი ამ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს.

გავის ოპერაცია უახლოეს დღეებში ჩაუტარდება

ბარსელონას ვარსკვლავმა გავიმ სერიოზული ტრავმა მიიღო და მას მყესის ჯვარედინი იოგები აქვს გაწყვეტილი, რაც აუცილებლად საჭიროებს ოპერაციას.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გავის ოპერაცია უახლოეს დღეებში, ბარსელონაში ჩაუტარდება და ამის შემდეგ ზუსტად იქნება ცნობილი მისი გამოჯანმრთელების დრო. სავარაუდოდ, გავის 7 თვეზე მეტი გაუცდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ზურა ყიფშიძის საიუბილეო სპექტაკლზე ბილეთები 20 წუთში გაიყიდა

27 ნოემბერს მარჯანიშვილის თეატრის წინ მსახიობ ზურა ყიფშიძის ვარსკვლავი გაიხსნება. ვარსკვლავის გახსნამდე თეატრში წარმოდგენილი იქნება რეჟისორ ზურა გეწაძის მიერ დადგმული სპექტაკლი „მეფე ლირი", სადაც ზურა ყიფშიძე მთავარ როლს თამაშობს.

დავით ოქიტაშვილი, კულტურის პალატის ხელმძღვანელი:

– აი, ესაა ხალხის სიყვარული. ვარსკვლავი არაფერია, მთავარია, ხალხს უყვარდე. ბილეთების დადებიდან 20 წუთში ბილეთები აღარაა. რეკორდი მოხსნილია. ზურა ყიფშიძე, ბრავო!

დემნა ახალ ჩვენებას ლოს-ანჯელესში გამართავს

დიზაინერი დემნა, პარიზის შემდეგ, ახალ ჩვენებას უკვე ამერიკაში — ლოს-ანჯელესში 2 დეკემბერს გამართავს. „ბალენსიაგას" მომდევნო შოუზე დიზაინერი მოდის მოყვარულებს მომავალი წლის სიახლეებს შესთავაზებს:

– მოდა ზოგჯერ ძალიან დაძაბულია. სახალისო ელემენტებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ ხშირად ადამიანები ამას დაცინვად იღებენ და ასეთი რეაქცია აქვთ: „როგორ ბედავ? მე უკვე მაქვს ნაგვის ტომარა." „არადა, ხშირად, ეს უფრო „რატო არა?" მომენტია. ჩიფსის ყუთი, როგორც ხელჩანთა, სასაცილოა. ის, რაც პროვოკაციულად აღიქმება, არის უბრალოდ კონტექსტი. უმრავლესობისათვის ძვირადღირებული ბრენდი არის ბეჟი, ტყავი. ჩემთვის ბალენსიაგა არის ყველაფერი, ამის გარდა.

– მოდის შესასწავლად ანტვერპენი რატომ აირჩიეთ?

– ეკონომიკაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტიპენდია მქონდა, მაგრამ სწავლის გაგრძელებაზე უარი ვთქვი. ანტვერპენში წავედი, რომ მოდა მესწავლა. ანტვერპენის აკადემიაში გამოცდაზე რომ შევედი, ამოვიღე ჩემი ათი ცალი ფანქარი და ფურცელი. გავიხედე და იაპონელებმა მთელი კონსტრუქციები ამოალაგეს, რითიც უნდა ეხატათ, რალაც ინსტრუმენტებს იქნევდნენ აქეთ-იქით. მერე გავიგე, სად მოვხვდი და ვინ მასწავლიდა! უდიდესი ავანგარდისტები.

– რომელ ვარსკვლავთან გსურთ თანამშრომლობა?

– მომღერალი შადე და მისი შემოქმედება ჩემი ცხოვრების საუნდტრეკია, ამიტომ ის არის ვარსკვლავი, რომელთან თანამშრომლობაც მსურს.

– საფრანგეთიდან რატომ გადახვედით?

– მთავარი არა, მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი საფრანგეთიდან გადასვლისა გადასახადებიც იყო. რატომ უნდა ვუხადო ჩემი შემოსავლის 60% საფრანგეთის მთავრობას?

– მართალია, რომ პარიზში პორტფოლიო პიცის ყუთით გაგზავნეთ?

– შეიძლება ეს ჩემი ეკონომისტის გონების დამსახურებაა, მაგრამ ვიფიქრე, პორტფოლიო უნდა გახსნან, შეფუთვა მნიშვნელოვანია. პორტფოლიო პიცის ყუთში ჩავდე და გავგზავნე. მათი ყურადღება მივიქციე. დამირეკეს.

– ცხოვრების სტილის ცვლილებაზე რას იტყვით?

– მოდაში დრამები და წვეულებები არასდროს ილევა, ნარკოტიკივითაა, მაგრამ ამაზე დამოკიდებული აღარ ვარ. სიყვარულმა მთლიანად შემცვალა, ან ვბერდები.

– პირველი სამსახური გახსოვთ?

– 17 წლის ვიყავი, როდესაც საქართველოს ტელევიზიაში მოვხვდი. უცხო ენების ცოდნის გამო ამიყვანეს.

– ფრაზა, რომელიც სულ თან გდევთ...

– მახსოვს, ჩემმა ინგლისურის მასწავლებელმა მითხრა: „დემნა, შენ ცხოვრებაში ის უნდა აკეთო, რაც შენ გინდა და არა ის, რაც სხვებს უნდათ."

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ლიზა ბათიაშვილი თბილისში ალბომის პრეზენტაციას მოაწყობს

მსოფლიოში ცნობილი ქართველი მევიოლინე ლიზა ბათიაშვილი მისი ერთ-ერთი ბოლო ალბომის „სითი ლაითს" პრეზენტაციას თბილისში გამართავს.

19 მუსიკოსი ნიკოლოზ რაჭველთან და ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მსმენელს დიდ საკონცერტო დარბაზში 19 დეკემბერს შეხვდება.

ლიზას ალბომი ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი ალბომია. სწორედ ამ ალბომის მიხედვით დადგმული მუსიკალური წარმოდგენა გაიმართება თბილისში. პროექტის მთავარი გმირები მსოფლიოში აღიარებული ქართველი მევიოლინე ლიზა ბათიაშვილი და კომპოზიტორი, დირიჟორი და ეროვნული სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი ნიკოლოზ რაჭველი არიან. 12 კომპოზიციისგან შემდგარი ალბომის საერთაშორისო პრემიერა 14 მაისს ბერლინში თეატრში პოტსდამზე გაიმართა. „სითი ლაითს" მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქს ეძღვნება – ბერლინს, პარიზს, ლონდონს, ბუენოსაირესს, ნიუ-იორკს, თბილისს... თითოეული ქალაქისადმი მიძღვნილ კომპოზიციას საფუძვლად უდევს ლეგენდარული ავტორების ბახის, დვორჟაკის, შტრაუსის, ლეგრანის, ჩაპლინის, მორიკონეს, პიაცოლას მელოდიური მასალა, რომელთა გამოყენებით ნიკოლოზ რაჭველმა შექმნა პიესები და მუსიკალური ფანტაზიები ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის, ახალი ტიპის დრამატურგიითა და ორიგინალური გაორკესტრებით.

თბილისში დაგეგმილი პრემიერის სცენარის ავტორი და რეჟისორი თეონა ჯორბენაძეა, დამდგმელი მხატვარი – ვანო ჭელიძე, გენერალური მენეჯერი – ნინო ნახუცრიშვილი, პროექტის წარმდგენები – ხელოვანთა გაერთიანება „კონცეპტარტ" და ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი.

თორნიკე ბარათაშვილი: „გელათის ფრესკები ვეღარ აღდგებაო"

სამოქალაქო აქტივისტმა თორნიკე ბარათაშვილმა გელათის უნიკალურ ფრესკებთან დაკავშირებით უახლესი ინფორმაცია გაავრცელა:

– გელათის ფრესკები ვეღარ აღდგებაო, 7-თვიანი დაკვირვების შემდეგ ამბობს ხალხი, რომელთა დიდმა ნაწილმა დუმილში გაატარა 3 წელი და მათგან ზოგიერთი გვიმტკიცებდა, რომ ყველა ეტაპზე ყველაფერი კარგად იყო.

ასეთი ავზნიანობა იცის კონიუნქტურის მორჩილებამ.

მხოლოდ წულუკიანმა არა, ოცნების ხელისუფლებამ და მთლიანად კულტურის სფერომ, იშვიათი გამონაკლისების გარდა, გაწირა გელათი.

მდგომარეობის სირთულის შეფასებას 7 თვე არ სჭირდება, 3 წლის წინ ვყვებოდით, რომ შეუქცევად ზიანს აყენებდნენ, მაშინ, როცა სხვა დანარჩენთან ერთად საპატრიარქოც დანაშაულებრივ დუმილში იყო.

ფაქტი ერთია, ამ დაუსრულებელ მარაზმსა და ბოდვას ბოლო არ უჩანს და გელათი კიდევ ერთ ზამთარს ჩათუნუქებულ-ჩახუთული გაატარებს.

ქართველმა ხელოვანებმა ავსტრალიასა და კანადაში გაიმარჯვეს

რეჟისორ თამარ შავგულიძისა და მწერალ ნესტან ნენე კვინიკაძის ახალი სრულმეტრაჟიანი ფილმის სცენარმა კანადასა და ავსტრალიაში გაიმარჯვა:

– ამ რთულ პერიოდში, ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს კარგი ამბები, რომლებიც გვაძლევს ძალას, გავაგრძელოთ მუშაობა ჩვენს იდეებზე.

თამარ შავგულიძისა და ნესტან ნენე კვინიკაძის ახალი სრულმეტრაჟიანი ფილმის სცენარმა კანადასა და ავსტრალიაში განვითარების ჯილდოები მიიღო.

თამარ შავგულიძის მესამე მხატვრული კინოპროექტი მონრეალის კინოფესტივალის კინობაზრობაზე დაჯილდოვდა, როგორც საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ფილმის პროექტი. დაჯილდოებაზე ფილმის პროექტს გადასცეს განვითარების გრანტი. ვულოცავთ თამარ შავგულიძეს, ნესტან ნენე კვინიკაძესა და თეკლა მაჭავარიანს. ხელოვნება ცოცხალი, დამოუკიდებელი და პოლიტიკურია! – ნათქვამია კომპანია „ნუში ფილმის" მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მოვლენათა თანმიმდევრული, მონაცვლეობითი განვითარების გზა; 2. სახელმწიფო ჩრდილო ამერიკაში; 3. მეტისმეტად თამამი, უბოდიშო გოგონა; 4. იაპონური საავტომობილო კონცერნი; 7. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 8. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 12. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 14. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 16. მათემატიკის ნაწილი; 17. უცოლშვილო ასაკოვანი მამაკაცი; 19. სუმოისტთა ტურნირი იაპონიაში; 20. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი.

თარაზულად: 5. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქი; 6. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 9. „სამანიშვილის დედინაცვლის" პერსონაჟი; 10. თეატრალური პრემია საქართველოში; 11. მწვადის შეწვის დროს ჩამოყონილი ცხიმი; 13. ჰოლანდიური ყველი; 15. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 18. ჯეიმს ჯოისის რომანი; 21. წითელი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული ღვინო; 22. ტარზანის პერსონაჟის შემქმნელი ამერიკელი მწერალი; 23. უნივერსიტეტი პარიზში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა